



ლიტერატურული მესხეთი

№7 (297)
ივლისი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

“LITERATURULI MESKHETI”

ც ა მ მ თ მ ლ თ ლ

გერმანე საზანოელი

თავი გვეჭირა ისე მეფურად,
მტერსაც ვუყვარდით
თავისებურად,
გენით კი გული,
როგორც მაყვალი,
სავსე ტრფობით და
აყალმაცალით.

ბევრი თბილი და გლოვად
ამდენი
ჯვარშემართული
მოლაღატენიც,
მაგრამ მძიმე დროს
ღრმა იარები,
რა ვქნათ, –
ჩვენ ასე დავიარებით.

წარსულის წაშლა ნიშნავს
ლაჩრობას,
სულის შებერვით
ცეცხლის ჩაქრობას,
ვერც შეგვედრება ვიღაც
ხეთები,
ჩვენ, – კულტურული
სულისკვეთებით.

რაც უფრო ებრძვი
სწრაფად ღვივდება,
ფუძე და ჭერი
ფარად ღვინდება,
სულის გარეშე ღმერთი
ეული, –
მსოფლიო შფოთავს
გადარეული.

ისე კი მძლავრი თემა რაშია?..
უცხოებს ჩვენზე დარდი
არ შიათ,

ხან გაყინული, ხან იას მგვანი,
ხელს უფათურებს
სულს იანვარი.

გამოგვივლია ნლები
დიდების,
ვაება, ტანჯვაც ალბათ
იმდენი,
რომ საოცრებაც ქიმით
გვეთვლება,
ცრემლიანობაც –
წვიმის წვეთებად.



ფოტო ბადრი ვადაჭკორიასი

ჩვენ გენი მოგვდევს,
რომ არ ვილევო,
ბევრი გვყავს
მარო მაყაშვილები,
მისი კალმიდან მწკრივი
წერთა,
გული ქართველი
საქართველოთა.

დილაადრიან მტერთან გარს
ნისლი,

ისტორიაა ბრძოლა გარნისის,
ხმა ბარისა და
ხმა მთიანისა,
ხმა შამქორის და
ბასიანისა.

ჩვენს ქართველობას ფარად
გვეყოფნისა,
გზა მარაბდის და
გზა მარტყოფისა,
სასწაულია,
ბევრს გვიჭირს ლხინი,

დიდგორის ველზე
ცხენის ჭიხვინი.

ასპინძებით და ბევრი
ტიფლისით,
ალცრემლიანი ცხელი ივლისით,
ვისაც თალები მიაქვს ყუადა,
დღეს ჩვენს მომავალს
მიაყურადა.

ხატი ზღვისა და

ხატი შინდისის,
დგას საქართველო ძველი
სინდისით,
დიდებულების კრთიან ხაზებად
გზა ოქროს ფუნჯის
ფიანდაზებად.

დიდი ერები არის ტაცებით,
ჩვენ –
გულიანი ჯარისკაცებით,
თუ გრიგალია,
ქუდზე კაცია,
ჩვენში მრავალი სააკაძეა.

ქართველი გვექვია
ზოდიაქოთი,
გზა უსასრულო ალიაქოთით,
დიდება ჩვენს ერს
ხმადარდიანსა,
მინით, ტყითა და
ლაჟვარდიანად.

გვეყვანდა, გვეყვანდა და
კვლავ გვეყოლება,
მცირესაც ვერვინ
დაგვეტოლება,
ისტორიული ნადარბაზევით,
თამარებიც და
ფარნავაზებიც.

ვისთვის სამოთხე,
ვისთვის ზმანება,
დილით ჰაერის ატორტმანება,
ჩვენს ძირძველობას უმღერს
ეროსიც,
მშვიდობა იყოს
საქართველოსი!

საქართველოსი,
საქართველოსი,
მშვიდობა იყოს
საქართველოსი!

ბანცხადება



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“
რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ
კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით
(დევიზი უნდა მიეთითოს როგორც კონკურტზე,
ასევე შიგთავსზე):

ერთი კონკურტით იგზავნება – საკონკურსო
ლექსები, მეორე კონკურტით – ავტორის გვარი
და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი,
ლექსების სათაურები (როგორც კონკურტზე
ასევე ლექსებზე არ უნდა მიეთითოს ავტორის
ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია
საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს,
გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“
რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო
საბჭოს წევრებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დანესაბუღია პრემიები:

პირველი პრემია – 1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;
მეორე პრემია – 1000 ლარი – კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;
მესამე პრემია – 600 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტისაგან.

მეოთხე პრემია - 400 ლარი – თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.
საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არა უმეტეს
ხუთისა, ნაბეჭდი ფორმით.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმარ-
თება სოფელ რუსთავეში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შო-
თაობაზე“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 1 სექტემბერი და იგ-
ზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა N3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 599979524

მეცამეტე

ბასი კაიხაური

ეკლესია ასოდე მეტრში იყო, მაგრამ ანა ნირვალოცვებზე არ დადიოდა. განა უარყოფდა ღმერთსა და ეკლესიას, მაგრამ, ხომ გესმით, ქალის ტვირთი მიძინა, მით უფრო, სოფელში და რა ექნა, დრო აღარ რჩებოდა საიმისოდ, რომ სამსა-სამი საათი ეკლესიის კარზე მდგარიყო და ლოცვე-ბისთვის ესმინა.

დრო და დრო ეკლესიაში მაინც ადიოდა, სანთელსაც ანთებდა და თავისებურად ლოცულობდა კიდევ.

„უფრო ღვთისმშობლის ხატთან უყვარდა განმარტოვება და, როგორც მშობელი მშობელს, სთხოვდა თავისი შვილების კეთილდღეობას.“

ასე გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და წლები... არაფერი არ იცვლებოდა და არც სურვილი ჰქონდა შეცვლისა.

არც იმ დღეს ფიქრობდა ეკლესიაში მისვლას, მაგრამ თანასოფელელმა ლეილა „აცდუნა“, მალაზიში შეხვდა შემთხვევით, მიესალმა და ისე, სასხვათაშორისოდ, უთხრა: „დღეს ხომ იცი, შვიდგზის ზეთისცხება და თუ მოიცლი, ამოდი ტაძარში.“

„ჰო... რა ვიცი... ვნახოთო“, — უფრო ზრდილობის გამო უპასუხა, სინამდვილეში გული უარს ეუბნებოდა, მაგრამ შემდგომ მაცდურ ნინადადებს კი ვეღარ გაუძლო: „... ხო იცი, წელიწადში ერთხელ ტარდება ასეთი ზეთის ცხება და ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგიაო“, — ღიმილით დასძინა ლეილამ და დაემშვიდობა.

„ჯანმრთელობისთვის თუ კარგია და, თანაც, უფასოდ მიმკურნალებენ, უარი რატომ ვთქვაო“ — იფიქრა ანამ და გადაწყვიტა ნასულიყო.

ეკლესიაში კი მივიდა, მაგრამ მალე სანანებელი გაუხდა, — ჯერ ერთი, ტაძარი გადავსებული იყო მრევლით და სკამს ვინ ჩივის, ფეხზე დასადგომი ადგილი არ იყო, მეორეც, — ზეთის ცხებამდე შვიდი სახარება უნდა ნაკითხულიყო, რაც დიდ დროს ნაიღებდა.

ანას გონება ხან ძროხებისკენ გაექცა, ხან — სამზარეულოსკენ — „სადილი კი მზად აქვთ, მაგრამ მე თუ არ გაუფიცხვლე და მივართვი, შეიძლება მოვივინო დარჩენილი“, — ოჯახის წევრებზე ნერვიულობდა.

ერთხანობა ნასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. „რახან მოვედი, ბარემ ბოლომდე დავრჩებიო“, — გადაწყვიტა და კელეპტარი იყიდა, მერე ვილაცამ უთხრა: „მიდი, მედავითნე სიას ადგენს, ჩაანერინე შენი თავიკაო“, — რატომ და

რისთვის, აღარ უკითხავს. საერთო წესებს და ემორჩილა და ჩაანერინა თავისი სახელი. მერე გაიგო, რომ სწორედ მოქცეულა, ამ სიის მიხედვით მღვდელს ლოცვებში უნდა მოეხსენებინა ყველა, ვინც ესწრებოდა ტაძარში და ვისაც ზეთი უნდა ეცხო.

გარეთ გაქცეული ფიქრების დაჭერა და შეოკება უჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო, მაინც დარჩა ბოლომდე. აჰა, მეშვიდე სახარებაც ჩაათავა მოძღვარმა, მერე შენდობის ლოცვაც ნაუკითხა იქ მყოფთ და ზეთისცხების დრო რომ მოვიდა, განაცხადა:

„... აბა, ახლა, არ ვინმეა უფრო, ჯერ ბავშვები გამოუშვით ზეთისცხებაზე, მერე — მოხუცები და უძლურები.“ — მერე ცოტახანს შეყოვნდა მღვდელი და ის თქვა, რამაც თავდაყირა დააყენა ანას აზრები და ცხოვრება:

„... აქ თუ ვიმე არის ისეთი, ვინც ნირვალოცვებზე არ ესწრებოდა, არ მარხულობდა და არ ეზიარებოდა, ცუცილად ნუ შეწუნდება, შვიდგზის ზეთის ცხებას ვერ მიიღებს, რომც მიიღოს, აზრი არა აქვს, სანკურნებელი ვერ იქნება მისთვის, ამიტომ შეუძლია ნაბრძანდესო.“ — აი, ეს სიტყვები თქვა მოძღვარმა და დაიწყო ზეთის ცხება.

დაიწყო ზეთის ცხება და დაიწყო ანას ტანჯვა. ჯერ ჩუმად მიმოიხედა ტაძარში და ელდა ეცა. ყველა ღიმილით უყურებდა მამაოს და გარეთ გასვლას არავინ ცდილობდა.

„ესე იგი, მხოლოდ მე ვარ ასეთი?!“ — ამ აღმორჩენამ სუნთქვა შეუკრა ანას. სისხლი გაეყინა ძარღვებში. სირცხვილისაგან თავი ძირს დახარა და ნელ-ნელა იწყო გარეთ გაბოსვლა.

„ტაძარში ასამდე მლოცველია და მხოლოდ მე ვარ ყველასაგან გამორჩეული ჩემი უღირსობითა და უღვთობითო?“ — ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში და სინდისი ქეჯნიდა.

„იქნებ სხვაც იყო ჩემნირი და მაინც დარჩა?“ — გაიფიქრა და ამ ფიქრმა კიდევ უფრო მეტად შეწუნა სინდისი:

„უღირსი ხარ და მაინც ღირსეულად გინდა წარმოაჩინო შენი თავი, ჰო?!... გამოდის, რომ პატიოსანი ყოფილხარ, რაკი გარეთ გამოხვედი, ხოლო სხვები უპატიოსნოები გარან, რადგან ყურად არ იღეს მოძღვრის შენიშვნა და მაინც იღებენ ზეთის ცხებას. ასე ფიქრობ, ჰო?!... ვაი ჩემ თავს!“ — ჯერ სინდისმა გაანწა სილა ანას, მერე თვითონაც შემოიკრა ხელი შუბლზე და სახლისკენ გაეშურა.

შემინდებელიყო უკვე.

მარტის უფშური ამინდი იდგა. ერთმანეთში შეზავებულიყო ბინდი და სიცივე, რომელიც სრულად შეესაბამებოდა ანას იმეამინდელ განწყობას.

ქურთუკის საყელური ნაშიონია, თავშალი თვალბზე ჩამოიფხატა, რომ ვერავის ეცნო და ორლობის გაყოლებით გაუყვია გზას.

ისეთი მეგრძენება ჰქონდა, რომ მთელი სამყარო მისკენ იმეგრდა ხელს და ხითხითებდა. „... შენ ვინ ყოფილხარ, ქალო! უსირცხვილო, ფარისევლო!“ — ეს ხმები ყურში ჩაესმოდა, სინდისი კი კვირს უკრავდა.

აქვითინდა ანა. გაორებული იყო მისი მწუნარება. ერთი მხრივ, ამპარტავნების სირცხვილი აწუნებდა, შერცხვენილად, შურაცხროფილად და დამცირებულად გრძობდა თავს, იმდენ ხალხში რომ მხოლოდ ის აღმოჩნდა უღირსი. მეორე მხრივ, სინანული უთუთქავდა გულს, რომ ვერ შეძლო სანკურნებელი მაღლის მიღება;

პირველი სანუნარი ეკლესიისგან კიდევ უფრო აშორებდა, — „უღირსი ხარ და შენი ადგილი იქ არ არისო“, — რალაც ხმა ჩასაძახოდა ამ სიტყვებს. მეორე სანუნარი კი, — პირიქით, ეკლესიისკენ უბიძგებდა, — „თუ უღირსი ხარ, ღირსეული უნდა გახდე და ამას მხოლოდ ტაძარში შეიძლება“, — სხვა ხმა შთაავრებდა ამას.

ისევე ანგელოზმა აჯობა ემშაკს, ძილშიაც ჩაჰყვია ანას, სითბო ჩაუღვარა სულში და უთხრა: „... რაზე სწუხარ? ქრისტიანო ხომ ერთხანად აჯილდოვებს დიდი ხნის მსახურსაც და ახალბედა მუშაკსაც, მთავარია მისკენ გადადგა ნაბიჯიო.“

ასეც მოიქცა, — გადადგა ნაბიჯი. აღდგომამდე სამი კვირა რჩებოდა და მიზნად დაისახა ქრისტეს აღდგომა საკუთარ აღდგომადაც ქცეულიყო. ამ დიდ მიზანს ქვემიზნები ჰქონდა: უნდა ემარხულა, ელოცა, ეგლო ეკლესიაში, დასწრებოდა ნირვალოცვებს...

ამ ქვემიზნებიდან ყველაზე მეტად აღსარება უჭირდა და ესირცხვილებოდა. ემშაკი კი თავისას ცდილობდა და შთაავრებდა: „... აღსარება რად გინდა... ახლა, ქვეყანას გააგებინე შენი გულის ნადები... ღმერთს ისედაც ესმის შენი სინანული... იარე ეკლესიაში თუ გინდა, მაგრამ აღსარების გარეშეო.“ — გველივით სისინებდა დემონი.

შეიძლება მართლა ასე გაეკეთებინა, ეგლო ეკლესიაში და ოდესღაც ჩაებარებინა აღსარება, მაგრამ მან შევლა სთხოვა უფალს და დემონთან შერკინება ამჯობინა, — პირველივე ნაბიჯი აღსარებით დაიწყო.

ანდრია ბულაქი

მოხუცი რომანტიკოსის წერილი

ტკაცატკუცი
ისევ ვუცდი
გამოჩენას ქალისა
ტკაცატკუცი
მენატრება
სახლი წინანდალისა

ბუხრის პირად
ვზივარ ხშირად
მარტო ვფხეკავ ნახშირებს
ბუხრის პირად
მოგონება
მოსვლას უფრო ახშირებს

გარეთ ცივა
გული მტკივა
სინანულში ვეშვები
გარეთ ცივა
ლამის სევდამ
ჩამცეს გულში ეშვები

დამრჩა დარდი
თოვლში ლანდი
მოსჩანს იმავ ქალისა
დამრჩა დარდი
მენატრება
სახლი წინანდალისა

იგივე ქართი
შესაფართო
ქრება ტაძრის კერია
იგივე ქართი
რალაც უცხო
ლექსიც დამინერია

გამოსცადე
თავი დადე
გესმას გულის ფიქრები
გამოსცადე
სილაზაზე
გულში ვერ ჩაიქრები

სიყვარულით
მენამულით
ეხლაც გული წრიალებს
სიყვარულით
დაიხსომეთ
დედამინაც ტრიალებს.

რომ მოუნებო ოდესმე
ღირსებებიც განირონ

რა იციან ღირსება
რანაირი ხილია
ჯერ შექმნილი არა აქვთ
პრინციპები საზღვრები

ვინმე დაუფვლება
მისთვის შენი გამართვა
როგორ გადაშლილია

არ მიენდოთ ბიძიკო
სიყვარულის ბელურებს
არ შესცუროთ მრავალჯერ
შენაცურობ ტალღაში
სიყვარულის გრძობაა
კაცს რო აუბედურებს
ახლაც გაკვირვებული
ვარ თუ როგორ გადავრჩი

მეც მომწონდა ბიძიკო
ერთხელ ერთი ღვთაება
გულზე მეტად მიყვარდა
სულზე მეტად ეტკებოდი
და როდესაც ამ გრძობას
სიყვარულიც დაემა
დავეცი და მეგონა
ველარც ვერ ავდგებოდი

სიყვარული ცალმხრივი
დაჭკნა როგორც დინება
არსად არ გაპარულა
ახლაც გულში მდებია
ახლაც მის დანახვაზე
ლაშე არ მეძინება
და რამდენჯერ ვინ იცის
კოცნაც დამწადებია

ვარდი დაჭკნა დაირხა
და ბებური ფურცლები
დაჭკნა მაგრამ მე დამრჩა
დამჭკნარი და ბებური
არ გიყვარდეს ცალმხრივად
ველარ გადაუჩრები
სამუდამოდ გექნება
მომაკვდავის ელფერი

ვიაზრებ რომ გავიდა
დროის ჟამთა მავლობა
მაგრამ ბებერ ანგელოსს
ან დემონის კაბითა
ჯერაც აზრზე არ არის
ჩვენი შთამომავლობა
თუ რამდენი თაობა
მათნაირად გავიდა...



ნახ. ირაკლი ფარჯიანისა

წყლისოფელის მორჩენილი კარის ამბავი

ვიაზრებ რომ გავიდა
დროის ჟამთა მავლობა
მაგრამ ბებერ ანგელოსს
ან დემონის კაბაში
ვიაზრებ რომ ახალი
მოდის შთამომავლობა
სულ ახალი ტყეით და
უსროლელი დამბაჩით

მოდის მოქრის რა იცის
ახალგაზრდა თაობა
მორბიან და სილალით
ლამის ბალი დარდილონ
რა იციან ბედისგან
საშინელი რაობა

ღირსება და ნამუსი
ხომ ხალხისგან ქმნილია
სწორედ მისი ბრალია
სისხლი რაც აქვთ ნალვრები

ჯერ შექმნიან ღირსებებს
ყმანელები ნორჩები
შემდეგ ამ ღირსებისთვის
კლავენ ანდა ყიდიან
სოფლის ბოლო მოსახლე
როცა სოფელს მორჩები
ხედავ ჯოჯოხეთისკენ
როგორ ლალად მიდიან

თქვენ რა იცით ბიძიკო
ქალის ძალაუფლება
სიყვარული რამდენად
უმონყალი ხილია
როცა შენში შენ გრძობებს

პოეზია

მინდია ხახვლაძე



დაიბადა 1987 წელს, ქალაქ ბათუმში. 2004 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, არის ფილოლოგიის დოქტორი. 2010 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. მიღებული აქვს ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია. არის ლიტერატურული კონკურსების გამარჯვებული. გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი სამეცნიერო სტატია, იკვლევს და თარგმნის ნიკმეს ტექსტებს.

სკოლის წაღობა

მასხოვს ლამაზი გოგო სკოლიდან, ზეიმზე ჩემთან არ სურდა ცეკვა, ის წყნა გულთან ხინჯად მოვიდა და ხასიათში თანდათან შეეცვლა.

გოგო უეცრად ჩემს მკლავებს მოწყდა, მე კარგად მასხოვს, ღმერთო, ის დილა, ზურგი აქცია საკლასო ოთახს და ფარდის მიღმა დიდხანს იტყრა.

ასე დამფრთხალი მირბოდა დროც და ვეღარ თოკავდა გრძობებს პერანგი, ჯიუტად ვსდევდი ლამაზებს როცა და ვაცილებდი სახლის კარამდე.

ხოლო ის ხინჯი მზერაში ჩამრჩა, ვერ დავანჯივლე თვალი მირონთან, ჩემში დათოვლილ ნაადრევ ზამთარს, ყველა ლამაზი ქალი ტყროდა.

და ციხესავით პირქუში სკოლა, მდუმარედ წერდა ჩემთვის განაჩენს: შენ მარტოობას შეირთავ ცოლად და ლამაზ-ლამაზ ლექსებს გააჩენ.

არ წვიმდა წუხელ

და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.

ო. ჭილაძე

არ წვიმდა წუხელ, ცას გაეხსნა ნაჭრილობევი და მთელი ღამე სულ სახეში მცემდა მარილი, ველურ მოხეტედა ერთადერთი დავრჩი, რომელიც, თვითონ გაუვული ტკივილს, როცა სევდა გამივლის.

არ წვიმდა წუხელ, ცას ცრემლებმა სისხლი გაუშრეს, ნამტირალევი ზეცა ზღვაში კენჭებს ისროდა, მეც ღმერთი ციდან გადამისვრის ნისლის აუზში, მთის ბილიკივით მისი გზებიც რადგან ვინროა.

არ წვიმდა წუხელ, ცა დაიბნა მარცვლებად ბრინჯის, რწმენა სიჩუმეს თამაშობდა შიშის ხმაურთან, მკვდარი ფიქრები შეგრძნებებმა ძარცვეს, დაგლიჯეს, ხოლო სიკვდილი სიგოყესთან მომინაურდა.

არ წვიმდა წუხელ, ცა დაიმხსვრა, სარქველი ბროლის გამთენიისას დედამინას ჰქონდა ახდილი, ჩემი სინდისის ნამსხვრევებმაც არ შემიბრალებს – მხოლოდით ღმერთთან მრავლობითი ცოდვა ამხილეს.

არ წვიმდა წუხელ, სეტყვის ნაცვლად ამ ერთადერთხელ, ძვლები ცვიოდა ბზარებიდან აკლდამის თეთრი, და თუ საკუთარ ნანგრევებში პირქვე დავემხე, ძალას ძვლებივით მოვიკრებ და აღვდგები მკვდრით.

* * *

ვისხედით უხმოდ და სიჩუმეს ვინაწილებდით, ჩვენ ორის ნაცვლად ერთადერთი – დუმილი ენთო, შენი სუნთქვიდან შევისუნთქე ვიბრაციები და მთელი ღამე მოვანდომე დიმიანუნდოს.

თითები ყელში გიკვნივსებდა მფეთქავ კაპილარს, როგორც კლავიმებს, აწყდებოდა ძარღვებს სტაკატო, სიცოცხლის წყარო ამღვრეული სისხლი ყოფილა და ახლა მინდა მის დინებას (გ)აეყვარა, დავხატო

შენი სხეული მხოლოდ კოცნის კარნაციებით, რომ ტუჩებიდან მოვიკვნივო ყველა სიმიწველე, როგორც რევანში, რომ საერთოდ არ მაძინებდი, რომ ყველა ხილვა ცხადში იყო – ვერ დავისიზმრე.

და თითქოს თითებმომწყვედებული ფორტეპიანოს ვუკრავ. სიჩუმეს სულს ვუბერავ, რომ სულ გადაწვას ჩვენ შორის ყველა ბარიერი, რომ დამიაროს ვიბრაციებმა წარღვნასავით მოსულ კადანსად.

და თითქოს ვსხედვართ ჩვენთვის, უხმოდ, კვლავინდებურად, და ჩვენ მაგიერ დარჩენილი ოდნავ და თითქმის ღმერთის დუმილი ათოვს ცისფერ კლავიატურას, ტუჩები მფეთქავ ტილოებზე ხატავენ სიკვდილს.

Influenza

მოკლე დღეების ყოველდღიურ, წერილმან საზრუნავს, დაძინებამდე სიზმარივით როცა მოვიღვით, დარჩენილ სიზმრებს ნამქერივით სისხლი აბრუნებს და ახდენილი ფანტაზია გვმოსავს თოვლივით.

მერე იღვიძებ შუალამით – ჩემი ზარია, გეტირება და ხმანაკლული ცრემლებს ახველებ, სიცხემ ძალიან აგინია და მეც ძალიან, ავადმყოფურად მინდა ვიყო შენი მნახველი.

რომ გამიცვიდი, ვერ გაგიტობო სულმა სხეული, იმის ბრალია, რომ შორიდან გეაღვრებ, რომ ჩვენ სადგურში განშორებამ დაგვასწულა, რომ ჩვენ კი არა დედამინას ტკივა რელსები.

ჩემი ბრალია – ჩავიხვიე სისხლში პათოსი ძალიან გვიან – არ მომსვლია მამიწვე აზრად, რომ ვერ გნახავდი ალბათ მერე სუსხით გათოშილს, და ნაადრევი ყვავილივით სამინლად დამზრალს

და ვერ გაგათბე, ვერ მოგხვიე მაგრად ხელები, რომ შენს ძარღვებში ჩამეცქცია ზამთრის მარაგი, ჩემკოცნანაკლულ ყელს იხვევ და კანრავ ხველებით, ბეტონის ძვლებში თებერვალი ამტვრევს ქალაქებს.

ფარდობითობის თეორია

ფარდობითია ყველაფერი ჩემო ჯიბრაილი (ამ წერილს შენთან გამოვატან მისტერ გალაჰერს), მე ჩემს ქალაქში საკუთარ თავს ვერ შევიბრალებ, ჩემი ქალაქი ამინდებმა ისე გალახეს.

ფარდობითია სიყვარულის მკაცრი ლოგიკაც, გულის სიღრმეში სიამოვნებს თურმე ნუ იტყვი, რომც არ უყვარდე, მთელი გულით, მაგრად რომ გიყვარს, მანაც გიღიმის, თითქოს რაღაც ნორმის გულისთვის.

ფარდობითია ქორწინებაც, პროსტიტუციაც, (თუმცა ბიზნესი არის რისკი – მანაც არ ენდო), ზოგს ფიცი მუდამ ერთგულების რომ მოუცია, ზოგისთვის უფრო სარფიანი არის არენდა.

ფარდობითია რელიგიაც, ფილოსოფიაც, რომ არ ემთხვევა ქადაგებას ქცევა ქადაგის, მაგრამ ხანდახან ხდება ლექსის ბოლო სტროფიდან, რაოდენობა თვისებამო როცა გადადის,

მაშინ სიცოცხლე ყველა პრიზმას ისე გიბრმავებს, სიკვდილსაც კოცნი, ცივ თვალს რომ შემოგანათებს, წერილს გაატან, გადაეცი მისტერ ჯიბრაილს, ფარდობითია ყველაფერი ჩემო გალაჰერ.

მაგდა. ღმერთი.

წუხელ ოცნებები შემომაკვდა, ძვლებში ჩავიშარხე სათითაოდ, ნულარ დამიჯერებ, ჩემო მაგდა, ჩემო ტყუილებზე საფიცარო.

მაგდა, ნუ იქნები ჩემს იმედზე, შუბლზე რაც მენერა – გადაშლილა, ცათა სასუფეველს ჩემში ვეძებ, რადგან უფალია ცათა შინა,

სადაც ისე ცოტად ღრუბელია, იქნებ სიგარეტის ბოლიც იყოს, ზემოთ გადაეცით – ნუ მელიან ტყუილგამოლულ პოლიტიკოსს.

ბნელში არაფერი რჩება რადგან, თუ მზის აფეთქებაც შევიგრძენი, სახეს ვერ დავმალავ, ჩემო მაგდა, ნილაბდაცხრილული შენი მზერით.

სისხლში ანკეხებად გადასროლილ ნერვებს ნამოვგო ახლა უნდა, ღმერთი – შეკითხვების დასასრული, როგორც ჩემი ექო – ახმაურდა.

ჩემი თვალები ხომ უნდა ნახო, ერთხელ, რუხ სიზმარეთში ამოვლებული, ძილით ვერგამაძღარი, ცადარწული, შეხე, მღვრიე ქარების ნაკვალევი, ცივი.

ჩემი თვალები თუ არ გინახავს, ნახე, ღამე ცასავით გადაწოლილა უკან, რძედაქცული ღრუბლის მრავალი თალით, მიუკვლეველი სულის შრეების რუკა.

ნახე თვალები, ორი ერთგული ძალი, გამოგდებული, დანაყრებული ცოფით, ქარავანს არა, უყეფს ჯოგსა და ნახირს, მიყრუებული, დაყრუებული სოფლის.

რინდის სიმღერა

ვივლი ამ ქარში, თბილი ქარი ისე მაცდუნებს, რომ შემოძლია მოვიარო მთლად სანაპირო, ხელი ავუკრა ფიქრის მყიფე ულტიმატუმებს, მერე ზღვის ბლანტი, მლაშე გულიც მოვინადირო.

ისე უხდება გარინდება ჰაერს ნატკივარს, შიშველ ხეებზე რომ ტოვებდა ხორცის ნაფლეთებს, რომ შემოძლია ჩავიმუხლო ასეთ ადგილას, და როცა მარტი სუსხის თოვას შემომავთებებს,

ავდგე, ტკივილში გავიმართო და გავემართო სახლისკენ, შიშის და ნუგეშის მღვრიე ნაზავით. მზე კი სად არის? სად წყვდიადში გადაენათა?! სად უსაფრდება დილის ძილქუშს ჰინასავით?!

ცრემლიან ველებს ეფინება ცისფერი კვამლი, ქვიშაში ლელავს ღვინით სავსე მინდვრის სიმღერა, ფსკერმოხატული ფიალიდან ზეცამდე დავლევ, სანამ ნოტიო მთები ღამეს არ გამომხევენ,

ვერ მოვასვენებ ამ ხეტიას, როგორც დერვიში, ვერც უფლის რძიან სიბნელეში გადავვარდები, თუ ჩემი სატრფოს ღიმილიდან ახლად ვერ ვიშვი, თუ არ დამემცვრა მისი ოქროს შარავანდედი.

ოდისეა

ეს არის ჯაჭვის და ჯადოს ახსნა, ამირანის და ხოგაის მინდის: შუქმა რომ გაჭრას ცა უფრო ბასრად, დაღამდეს, დაე, კერპების ბინდი.

ხვალ უნდა ვნახო ჰადესი, ვასვენებ დევნა-ხეტიას, მოიქვას თვისი ნათესი, ვისთვის ლოდინი – ბედია.

იქ მელის ცოცხალთ უკუნი, ხვალ უნდა ჩავყვე სამარეს, ნაქსოვი ცხრა საუკუნის, მათ შუქი ჩემში დამალეს.

იქ მეგობარი მიღიმის, ის დარდის ორი უბეა, ჩამიქრა მისი ღილინი, ეულმა სიომ უბერა.

ახლა ძილს უნდა ვამტვრევდე, მამხელდეს თვალი, ამაღამ, ნეტავი, არ გადამტვრდე, ვინც ისევე ელი, ამაყად, მას, ვისაც მზესთან მისავალს, ბალახის ნამიც უღობავს,

ვინაც მიჰყავდათ იქ, სადაც იწყებდა მოგზაურობას. კორტინან, ბოძთან ურო დგას, ბორკილებს ლეკვი ულოკავს, მაგრამ დაკრული ისარი, ნიშნავს, რომ ისევე იქ არის.

მაგრამ იმ ხიდის, იმ ქარის, იმ გველის, გვემის მაგია, დავაგდე, დევნის სიხარულს, ვაგროვებ ქვების მაგივრად. მარად ფეთქებად წამში ვარ, ელვის გზა – ჩემი გზაც არი, საგზალი – შიშის დამშევა, მეგზური – მეხის ტკაცანი.

მომდევს ძახილი: „ოდისევს!“ – არა, მე სულ სხვა ღამე მაქვს! – ჟამი ცდუნებებს მოგისევს! – მაშ, დაე, სისხლიც დამებას!

რიყრაყი

ქარმა სული შეაგუბა, შეაგება მოლოდინს, რალაც იმუქრება ქუფრად, როდის მოვა, ჰო, როდის?!

სიმარტოვეს ნამავს ცვარი, ზეცის კარის გამღები, თითქოს არი და არც არი, მზე, ცისკარი, ტალღები.

თითქოს ელვა დალიესო, სული ქარმა დალია, იოსები და იესო, მარიათ მაგდალინა.

მაგრამ, ვნების ცა კიდვა, დედამინა გულია, ცეცხლის ჯვრებით ნაკიდება, გადავინყებულია.

ტანჯვის ფესვით გაჩნდა ია, ყვავილობენ დამღები, იგი მოკვდა. რა ჩქარია, ქარი სულის ნამღები.



პანტანო გურული

1806-1878 წლების ომი

XVIII საუკუნის დამდეგიდან მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნის დასაწყისში (1801-1810 წწ.) რუსეთის იმპერიის გამარჯვებით დასრულდა. რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები. ამ დროისათვის საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – მესხეთი ოსმალეთის საზღვრებში იყო მოქცეული. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მეორე ნაწილი – ქარბულაქანი (ისტორიული ჰერეთი) ირანის ჰქონდა დაპყრობილი. ოსმალეთი და ირანი შეეცადნენ რეგულარულად დაეხმობათ რუსეთს კავკასიიდან გაქცევილობა. XIX საუკუნის პირველ მესამედში მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ომები. რევანში ვერ შედგა, პირიქით, ოსმალეთმა და ირანმა რუსეთს ახალი ტერიტორიაც დაუთმეს. ოსმალეთმა რევანში ვერც 1877-1878 წლების ომში აიღო და მესხეთი თითქმის მთლიანად რუსეთს ერგო. ოსმალეთს მესხეთის ტერიტორიის მხოლოდ ნაწილი დარჩა. წინამდებარე წერილში შევხებით მესხეთისათვის რუსეთსა და ოსმალეთს შორის XIX საუკუნეში მიმდინარე ომებს.

1806-1812 წლების ომი

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა XIX საუკუნის დამდეგიდან სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. რუსეთ-ოსმალეთის მომავალ ომში უმთავრესი ბრძოლები დუნაისპირეთსა და ბალკანეთში უნდა გამართულიყო. ამ რეგიონში ორი იმპერია სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდა

ტორიაზე გადასვლას ურჩევდა. გუდოვიჩმა შურაგელში განლაგებული გენერალ-მაიორ პიოტრ ნესვეტაევის რაზმის გასაძლიერებლად ეგერთა მე-17 პოლკის ბატალიონი გაგზავნა. 1807 წლის 5 მარტს საქართველოს მთავარსარდალმა გენერალ ნესვეტაევის უბრძანა: თუ მეჭმედ ფაშა და ყარა ბეი ყარსს ნებაყოფლობით არ ჩააბარებდნენ, შეტევა დაეწყო. მეჭმედ ფაშამ და ყარა ბეიმ ნესვეტაევის ულტიმატუმს არ უპასუხეს. 1807 წლის 16 მარტს რუსეთის ჯარი, რომელიც 2.491 მებრძოლისაგან (79 ოფიცერი და 2.412 ჯარისკაცი) შედგებოდა 10 ზარბაზნის თანხლებით, შურაგელის პროვინციიდან ყარსისაკენ დაიძრა. სოფელ ბაშურაგელთან მიახლოებისას, სადაც ყარა ბეი 1.000 ქვეითი იმყოფებოდა, გენერალმა ნესვეტაევა ოსმალებს დანებება შესთავაზა. ყარა ბეიმ სროლის დანების ბრძანება გასცა. ნესვეტაევი შეტევაზე გადავიდა, ბრძოლაში 300 ოსმალი დაიღუპა, 400

დასაღწევი საქართველოში მყოფ გენერალ-მაიორ იონ რიკოპის უბრძანა ბელგესკის მოქვეტრთა პოლკის სამი ბატალიონით მდინარე ხობის შესართავში არსებული სიმაგრე რედუტ-კალე დაეცვა. მას შემდეგ რაც ოსმალი სარდლის იუსუფ ფაშას ჯარის ყარსისაკენ გადაადგილების აშკარა შეტევა, გუდოვიჩმა ყარსზე ლაშქრობა დააჩქარა. ყარსის საფაშოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ იუსუფ ფაშამ ჯარი ორ ნაწილად გაყო, ერთ ნაწილს მან ყარსის საფაშოს ტერიტორიიდან ნესვეტაევის რაზმების განდევნა დაეავალა, ხოლო მეორეს – რედუტ-კალეს აღება და იმერეთსა და სამეგრელოში შეჭრა. 28 აპრილს გუდოვიჩი უკვე ნალკაში იმყოფებოდა, სადაც დიდი ყინვების გამო სამი დღით მოუხდა შეჩერება. 1 მაისს რუსეთის ჯარი ნალკიდან ახალციხისაკენ დაიძრა. რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ რუსებს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.



ომის ბალკანეთის ფრონტზე 1810 წელს საბრძოლო მოქმედებები რუსების გამარჯვებებით წარიმართა. რუსებმა გაანადგურეს ოსმალეთის ჯარი, რომელიც 40.000 მებრძოლს ითვლიდა და დუნაისპირეთში დაიკავეს მნიშვნელოვანი სიმაგრეები, მათ შორის პლენა. ტორმასოვი ფიქრობდა, რომ ოსმალები ზავს ითხოვდა და ამიტომ ახალციხის საფაშოს დაკავებას ჩქარობდა. 1810 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის საქართველოს მთავარსარდალმა ახალციხის საფაშოში შესაჭრელად სამი კოლონა გაამზადა. იმერეთში მყოფმა გენერალ-მაიორმა ფიოდორ სიმონოვიჩმა ბრძანება მიიღო, კავკასიის გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონით, ეგერთა მე-15 პოლკის 1 ბატალიონით და იმავე პოლკის კიდევ 1 ასეულით იმერეთის, სამეგრელოსა და გურუის ლაშქართან ერთად ახალციხის საფაშოში შეჭრილიყო. სიმონოვიჩის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი მარჯვენა კოლონას შეადგენდა. თვითონ ალექსანდრ ტორმასოვი სურამში ჩავიდა. სურამში თავი მოიყარა ქვეითთა 6 ბატალიონმა, 400 დრაგუნმა, 600 კაზაკმა და ქართულმა ლაშქარმა. ტორმასოვის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი ცენტრალურ კოლონას შეადგენდა. სწორედ მას უნდა დაეწყო სურამიდან მტკვრის ხეობის გავლით ახალციხეზე შეტევა. მარცხენა კოლონა გენერალ-მაიორ სემიონ პორტნიაგინის მეთაურობით დმანისში იდგა. დმანისში თავმოყრილი იყო თბილისის მოქვეტრთა პოლკის 1 ბატალიონი, სარატოვის მოქვეტრთა პოლკის 1 ბატალიონი, ეგერთა მე-15 პოლკის 1 ბატალიონი, 200 კაზაკი, შამშადილულ თათართა ლაშქარი (500 მებრძოლი). სამივე კოლონა ახალციხისკენ უნდა დაძრულიყო და 1810 წლის 15 ნოემბერს ცხეს მიახლოებოდა. გზადავ ზა რუსებს სხა უნდა გაეგრძელებინათ, რომ მიდიოდნენ არა ახალციხის საფაშოს დასაპყრობად, არამედ – შერიფ ფაშას (ჯაყელის) დასასჯელად. რუსები

მესხეთის დედამშობლოში

ერთმანეთს. მეორე რეგიონი, სადაც რუსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს უნდა შეჯახებოდა, ჩრდილო და სამხრეთ კავკასია იყო. ოსმალეთი იმერეთის სამეფოს, სამეგრელოსა და გურუის სამთავროებს თავის სავსალოებად თვლიდა. ოსმალეთის სულთანმა ვერ ეგუებოდა მათ შესვლას რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში. არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენდა ის, რომ რუსეთი აფხაზეთის სამთავროს ქვეშევრდომობაში მიღებულასაც აპირებდა.

ოსმალეთის ჯარის გამოჩენა სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროსთან. 1806 წლის 25 ივლისს ოსმალეთის სამხედრო ესკადრილიამ მდინარე ხობის შესართავში რუსების მიერ აგებულ სიმაგრე რედუტ-კალეს (ყულევს) გვერდი აუარა და აფხაზეთისაკენ გაემართა. საქართველოს მთავარსარდალმა ივან გუდოვიჩმა შეიტყო თუ არა სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროებთან ოსმალეთის სამხედრო ესკადრილის გამოჩენა, თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ახალციხეში. გუდოვიჩს სურდა გაეგო, რა რაოდენობის ჯარი ჰყავდა ახალციხის ფაშას და რა გეგმები ჰქონდა ოსმალეთის სულთანს სამხრეთ კავკასიის მიმართ. მალე ოსმალეთის ესკადრილია უბრძოლველად გაბრუნდა უკან. ოსმალეთის ჯარების თავმოყრა არც ახალციხეში შეინიშნებოდა. მიუხედავად საზღვარზე არსებული სიმშვიდისა, პეტერბურგში კარგად უწყობდნენ, რომ საფრანგეთი ოსმალეთის რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ აქეზებდა. მალე გუდოვიჩმა შეიტყო, რომ ოსმალი სარდალი იუსუფ ფაშა არზრუმში დიდი ჯარით ჩავიდა. ოსმალეთის ჯარები თავს იყრიდნენ ყარსში, ბაიაზეთსა და ახალციხეში.

არზრუმში, ყარსში, ბაიაზეთსა და ახალციხეში ოსმალეთის ჯარების თავმოყრის შესახებ ცნობის მიღებისთანავე ივან გუდოვიჩმა სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის დასაცავად მთელი რიგი ლონისძიებები გაატარა. საქართველოს მთავარსარდალმა ძლიერი რაზმი შექმნა და გენერალ-მაიორ სემიონ პორტნიაგინის მეთაურობით შურაგელის რაიონში (თბილისის სამხრეთით) განლაგა. შურაგელის რაზმმა რაიონი კი დაიკავა, მაგრამ იქ ყველა სოფელი უკვე დაცარიელებული იყო.

ბრძოლა ყარსისათვის. ივან გუდოვიჩმა ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადების შესახებ ყარსის ფაშა მეჭმედისაგან შეიტყო. ყარსის ფაშა ომის დაწყებამდე რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლას აპირებდა. მან 1806 წლის 10 ოქტომბერს ოფიციალურად მიმართა ალექსანდრ I-ს. ოსმალეთთან ომის დაწყების შემდეგ გუდოვიჩი სერიოზულად ემზადებოდა ყარსის დასაცავებად. სამხედრო ოპერაცია საიდუმლოების სრული დაცვით მზადდებოდა. 1807 წლის თებერვლისათვის ყარსში გასაგზავნი სამხედრო ექსპედიცია უკვე მზად იყო. ყარსის ფაშა მეჭმედის საფაშოში ძლიერი ოპოზიცია იყო მისი მძა ყარა ბეი. ყარა ბეი 300 ქვეითთა და 400 ცხენოსნით 1807 წლის თებერვლის ბოლოს შურაგელის პროვინციის სასაზღვრო სოფლებს მოუახლოვდა. იგი სოფლების მოსახლეობას ოსმალეთის ტერი-



ჯავახეთი

კი ტყვედ ჩაბარდა. ყარა ბეიმ გაქცევით უშველა თავს. მახლობელი სოფლების მამასახლისები ნესვეტაევიან გამოცხადდნენ და რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღება სთხოვეს. სოფელ ბაშურაგელში ნესვეტაევა ყარსის ფაშასაგან 1807 წლის 17 მარტით დათარიღებული წერილი მიიღო. აშკარად იყო, რომ მეჭმედ ფაშამ რუსულ ორიენტაციაზე ხელი აიღო. მალე ნესვეტაევა ყარსის ფაშასაგან 1807 წლის 18 მარტით დათარიღებული მეორე წერილი მიიღო. წერილში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ფაშამ ყარსი წინააღმდეგობას და რუსებთან ბრძოლას აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ გუდოვიჩმა ნესვეტაევის დამხმარე ძალა ვერ გაუგზავნა, 1807 წლის 24 მარტს რუსეთის ჯარი ყარსისაკენ დაიძრა. ყარსის ციხიდან ოსმალთა რაზმი გამოვიდა და ნესვეტაევის რაზმს მიეგება. ოსმალების შეტევას მხარს უჭერდა ყარსის ციხის არტილერია. მალე ოსმალები ყარსის ციხეში შეიკეტნენ და სასტიკი წინააღმდეგობას უწევდნენ რუსებს. მოულოდნელად ნესვეტაევა გუდოვიჩისაგან მიიღო ბრძანება, რომელიც მას ყარსის ციხეზე იერიშის მიტანას უკრძალავდა. საქართველოს მთავარსარდალმა სწორად თვლიდა, რომ ყარსის კარგად გამაგრებული ციხის აღებას ნესვეტაევის რაზმი ვერ შეძლებდა. 1807 წლის 26 მარტს გენერალ-მაიორმა პიოტრ ნესვეტაევა ყარსიდან ჩრდილო აღმოსავლეთით 44 ვერსით უკან დაიხია და ყარსსა და გოუმრს შორის შეჩერდა.

ბრძოლა ახალქალაქისათვის. 1807 წლის გაზაფხულზე ოსმალთა მცირერიცხოვანი რაზმები ბამბაკისა და შურაგელის პროვინციებს ესხმოდნენ თავს. ივან გუდოვიჩს ცნობა ჰქონდა, რომ არზრუმსა და მის შემოგარენში ოსმალთა ჯარის მნიშვნელოვანი რაოდენობა არ იყო განლაგებული. ყარსის ფაშას დახმარება მხოლოდ ახალციხიდან შეეძლო მიეღო, სადაც ოსმალთა დიდი ჯარი იყო განლაგებული. 1807 წლის მარტის ბოლოს საქართველოს მთავარსარდალმა ახალციხეზე ლაშქრობა გადაწყვიტა. 1807 წლის 17 აპრილს იგი 4.500 მებრძოლით თბილისიდან გავიდა და თრიალეთის გავლით ახალციხისაკენ გაემართა. ახალციხეზე ლაშქრობის დაწყებისთანავე გუდოვიჩმა

თბილისიდან ჯავახეთის გავლით რუსეთის ჯარის თავდასხმის შემთხვევაში ახალციხეს ახალქალაქის ციხე იცავდა, ხოლო სურამიდან მტკვრის ხეობით შეტევის შემთხვევაში – ხერთვისის ციხე. ხერთვისთან შედარებით ახალქალაქის ციხე უფრო სერიოზულად იყო გამაგრებული. გუდოვიჩმა ჯარი ახალქალაქიდან ორ ვერსზე ერთ-ერთ მიტოვებულ სოფელში შეაჩერა. რუსეთის ჯარის ბანაკს თავს დაესხა ახალქალაქის ციხიდან გამოსული ოსმალეთის ცხენოსანი რაზმი, თუმცა დიდი დანაჯილდით მალე უკან დაიხია. ივან გუდოვიჩმა ახალქალაქის ციხის კომენდანტს დანებება მოსთხოვა. კომენდანტმა პასუხი არ გასცა, რის შემდეგაც საქართველოს მთავარსარდალმა 6 ზარბაზნიდან ციხის დაბომბვა დაიწყო. საველი ზარბაზნებმა ახალქალაქის ციხეს პრაქტიკულად ზიანი ვერ მიაყენა. მიუხედავად ამისა, დაბომბვამ დაზარალებული საათი გაგრძელდა. ციხის კომენდანტმა გუდოვიჩის არც მეორე ულტიმატუმს უპასუხა. საქართველოს მთავარსარდალმა თავის განკარგულებაში მყოფი 2.900 მებრძოლი ხუთ კოლონად გაყო. 1807 წლის 8 მაისს საღამოს და 9 მაისს დღით ხუთჯერ კოლონამ საბრძოლო პოზიციები დაიკავა. 9 მაისს, დღით, ზარბაზნებიდან ციხის კიდევ ერთხელ დაბომბვის შემდეგ რუსები შეტევაზე გადავიდნენ. მტერი დაახლოებით ხუთი საათი გრძელდებოდა. გუდოვიჩმა მთელი რეზერვი ბრძოლაში ჩააბა. რუსებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დიდი ზარალი ნახეს: დაიღუპა 9 და დაიჭრა 25 ოფიცერი, დაიღუპა 258 და დაიჭრა 588 რიგითი. გუდოვიჩი იძულებული გახდა მტერში შეეწყვიტა. როგორც კი მტერი შეწყდა, ციხიდან 700 ოსმალი ცხენოსანი გამოვიდა და რუსების პოზიციებს შეუტია. ნარვის დრაგუნთა პოლკის სამმა ესკადრონმა პოლკოვნიკ ოტტოს მეთაურობით ოსმალები უკუაგდო. ივან გუდოვიჩმა ნალკაში ჩასვლის შემდეგ პიოტრ ნესვეტაევის უბრძანა, ყარსის საფაშოს ტერიტორია დაეკავებინა.

ლაშქრობა ახალციხეზე. ჯერ კიდევ ფოთის აღების შემდეგ ალექსანდრ ტორმასოვმა ახალციხეზე ლაშქრობა გადაწყვიტა. დროებით ეს ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ წარმეტყულებმა საბრძოლო ოპერაციებმა შეაფერხა. რუსეთ-ოსმალეთის

მოსახლეობას მოუწოდებდნენ დარჩენილიყვნენ თავიანთ სოფლებში, მათ სიცოცხლესა და ქონებას საფრთხე არ ემუქრებოდა. ტორმასოვმა სომონოვიჩს დაავალა, ახალციხიდან შერიფ ფაშას მიერ გაქვებულ სელიმ ფაშასთან (ხიმშიაშვილთან) მოლაპარაკება ეწარმოებინა, რათა ეს უკანასკნელი შერიფ ფაშას წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე დაეთანხმებინა. სელიმ ხიმშიაშვილმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და ახალციხეზე ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიიღო.

1810 წლის 1 ნოემბერს გენერალ-მაიორი ფიოდორ სიმონოვიჩი იმერეთიდან ახალციხისაკენ დაიძრა. დიდმა თოვლმა ჯარის მოძრაობა ძალზე გააძნელა. სიმონოვიჩი იძულებული გახდა, მხოლოდ სამი ზარბაზნი წაეღო თან. შევიდა თუ არა ახალციხის საფაშოს საზღვრებში, სიმონოვიჩს წინ ოსმალთა ძლიერი რაზმი (2.000 მებრძოლი) გადაელობა. რუსებმა ხელჩართული ბრძოლით გაიკვეთეს გზა. ამ ბრძოლის შემდეგ ახალციხემდე ოსმალები აღარ გამოჩენილან. 1810 წლის 2 ნოემბერს გენერალ-მაიორი სემიონ პორტნიაგინი დმანისიდან ახალციხისაკენ დაიძრა. პორტნიაგინის ოსმალები (1.500 ცხენოსანი) მხოლოდ ახალციხის მისადგომებთან შეხვედნენ. მცირე შეჯახების შემდეგ კაზაკებმა და შამშადილულმა თათრებმა ისინი უკუაქციეს. პორტნიაგინი ახალციხის მისადგომებთან დაბანაკდა და შეტყობინება გაუგზავნა ტორმასოვს. სურამიდან ახალციხისაკენ მიმავალი გზა ჯარისა და არტილერიის გადაადგილებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, ამიტომ ალექსანდრ ტორმასოვმა ჯარი ორ ნაწილად გაყო. პირველ ნაწილს, რომელშიც ხერსონის გრენადერთა და ეგერთა მე-9 პოლკის ბატალიონები შედიოდა, გენერალ-მაიორი ნიკოლაი ტიტოვი მეთაურობდა. ჯარის მეორე ნაწილს, რომელშიც კავკასიის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, ყაზარდოს მოქვეტრთა პოლკის 1 ბატალიონი და დრაგუნთა 1 ბატალიონი შედიოდა, გენერალ-მაიორი დიმიტრი ობოლენსკი ედგა სათავეში. ჯარის ავანგარდში პოლკოვნიკ დენისოვის მეთაურობით კაზაკები იდგნენ. არიერგარდში იდგა ეგერთა მე-9 პოლკის 2 ბატალიონი გენერალ ფი-





ლიბ პაულუჩის მეთაურობით. 1810 წლის 11 ნოემბერს რუსეთის ჯარი აწყურს მიუახლოვდა. ტორმასოვმა პაულუჩის უბრძანა, მოეხდინა აწყურის ციხის რეკონსტრუქცია. მართალია აწყური ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა, მაგრამ ძალზე მცირე რაოდენობის გარნიზონი ჰყავდა. მცირეგარნიზონიანი ციხის ზურგში დატოვება რუსეთისათვის საფრთხის არ წარმოადგენდა, ამიტომ იყო, რომ ტორმასოვმა აწყურის ციხეს გვერდი აუარა და 14 ნოემბერს ახალციხეს მიუახლოვდა.

ახალციხის ფაშა შერიფი მომზადებული დახვდა რუსეთის ჯარს. ქალაქს მინაყროლი იცავდა, ხოლო ციხეში ძლიერი გარნიზონი (10.000 მეგრძოლი) იდგა. შერიფ ფაშა ციხისმიმდებარე რაიონებს და ქალაქის მისადგომებთან ბრძოლის გამართვა არც უფიქრია. ახალციხეზე ალყის ორგანიზება ტორმასოვმა გენერალ პორტნიაციის დაავალა. 1810 წლის 15 ნოემბრისათვის ახალციხე უკვე სამი მხრიდან ალყაში იყო, მეოთხე მხარე გენერალ სიმონოვიჩის ჯარებს უნდა დაეკავებინათ. 16 ნოემბერს სიმონოვიჩი ახალციხესთან ალყაზე მდგარ ჯარებს შეუერთდა და გენერალ ტიტოვისა და გენერალ ორბელიანის ჯარებს შორის დაიკავა პოზიცია.

ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის შესვლისთანავე ქრისტიანმა მოსახლეობამ დეპუტაციები გაგზავნა რუსეთს. ტორმასოვმა ქართველთა და შამშადილუელთა ლაშქარს უბრძანა ქრისტიანი მოსახლეობა სასწრაფოდ გაეყვანა საფაშოს საზღვრებიდან. საქართველოს მთავარსარდალმა ქართველ თავადებს პირობა მისცა, რომ ახალციხის საფაშოდან გაყვანილი ქრისტიანები მათი ყმები გახდებოდნენ და ახალ საცხოვრებელ ადგილზე ხუთი წლის განმავლობაში ბევრნაირი შეღავათი მიეცემოდათ.

1810 წლის 19 ნოემბერს, გამიენისას, რუსეთის არმიის მეთაურმა ალექსანდრე სუვოროვმა დაიწყო ახალციხის აღება.

ნაც შეუმჩნეველად უნდა გადასულიყვნენ ახალციხის მისადგომებთან. ეგერებთან ერთად ახალციხისაკენ უნდა აძირულიყვნენ დმანისისა და ნალკაში საგუმბაგობეზე მდგარი კაზაკები, აგრეთვე ბორჩალოს მთურაგის მიერ მუსლიმი მოსახლეობიდან შეკრებილი ლაშქარი.

1811 წლის 3 და 4 დეკემბერს პოლკოვნიკ პიოტრ კოტლიარევსკის მეთაურობით ქართველ გრენადერთა პოლკი და კაზაკთა ასეული ზარბაზნის გარეშე გორიდან ახალციხისაკენ დაიძრა. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლის შემდეგ კოტლიარევსკის შეუერთდა კიდევ ერთი ბატალიონი. მართალია, ბატალიონს ზარბაზნი არ გააჩნდა, მაგრამ მომზადებული ჰქონდა ციხის კედლის გადასლახი კიბეები. მომდევნო დღეებში კოტლიარევსკიმ გადალახა თრიალეთის თოვლით დაფარული მთები, 1811 წლის 7 დეკემბერს ოსმალეთის საზღვარს მიუახლოვდა და ახალციხისაკენ 25 ვერსის მოშორებით შეჩერდა, რათა ეგერთა ბატალიონის მოსვლას დალოდებოდა. 7 დეკემბრისათვის კოტლიარევსკის განკარგულებაში იყო 1.133 ქვეითი და 100 კაზაკი. კოტლიარევსკიმ მთელი ჯარი სამ დღეში დაიწყო ციხისაკენ. ციხის სათავეში თავად ჩაუდგა, მეორე კოლონის მეთაურობა ეგერთა მე-16 პოლკის პოდპოლკოვნიკ სტეპანოვს მიანიჭა, ხოლო მესამისა – ქართველ გრენადერთა ჯარი სამ დღეში დაიწყო ციხისაკენ. ციხის სათავეში 200 გრენადერი იყო. გარდა 3 კოლონისა, კოტლიარევსკიმ კიდევ ჩამოაყალიბა 3 რაზმი, თითოეული 30 მეგრძოლის შემადგენლობით. ამ რაზმების დანიშნულება იყო ცრუ იერიშების წამოწყება და მონიშნულმდგომის შეცდომის შეყვანა. ქვეითთა 1 ბატალიონი ახალციხის ახლოს მდებარე ორი სოფლის დასაკავებლად გაიგზავნა.

1811 წლის 7 დეკემბერს გვიან საღამოს რუსებმა სიბნელით ისარგებლეს, 2 ვერსი სწრაფად გაიბრძნეს და ახალციხის ციხის კედლებს მი-


კეთოს არაფერს უქადა, მაგრამ რუსეთი ომის დამთავრებას ჩქარობდა. რუსეთ-საფრანგეთის ომი კარს იყო მომდგარი, ორ ფრონტზე ბრძოლა კი რუსეთს არ შეეძლო, ამიტომ იგი ზაფხუ დასთანხმდა.

1812 წლის 16 მაისს საზავო ხელშეკრულება (ბუქარესტის ტრაქტატი). 1812 წლის 16 მაისს ბუქარესტში რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ უცვლელი რჩებოდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრე დადებული ყველა ხელშეკრულება. საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო ბესარაბია. რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება საქართველოსაც შეეხო. ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, გურუის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების გადასვლა რუსეთის მფლობელობაში. საზავო ხელშეკრულების მეექვსე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში (ე.ი. სამხრეთ კავკასიაში) უნდა აღდგენილიყო ომამდელი სახით. რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა დაკავებული ციხესიმაგრეები, ქალაქები, დაბები და სოფლები. რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა ფოთი და ახალციხე, მაგრამ შეინარჩუნა სოხუმი. საბოლოოდ რუსეთს დარჩა შავი ზღვის სანაპირო რედეუტკალედან (ყულევიდან) სოხუმამდე. ზღვის სანაპირო ზოლი მდინარე ხობის შესართავიდან (რედუტკალედან) მდინარე რიონის შესართავამდე (ფოთამდე) არ გამიწვლავდა.

რძილო მოქმედებებით ოსმალეთის სარდლობა უნდა აეშლებინა მთელი ძალები ბალკანეთზე არ გადასროლა, რითაც დუნაის არმიის მდგომარეობა შეუმსუბუქებოდა და შეტევის წარმატებით დაგვირგვინების საშუალება მიეცემოდა; 2. კავკასიის კორპუსს უნდა დეცავა რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი სამხრეთ კავკასიაში, შეჭრილიყო ოსმალეთის ტერიტორიაზე და დაეკავებინა ყარსისა და ახალციხის საფაშოები, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ფოთისა და ანაპის ციხესიმაგრეებიდან განედევნა ოსმალები.

პეტერბურგში შემუშავებული გეგმის თანახმად, გენერალ-ლეიტენანტ აფანასი კრასოვსკის ერეგის ოლქში (ყოფილ ერეგის სანაპირო) განლაგებული ჯარებით დაუყონებლივ უნდა შეეტანა და დაეკავებინა ყარსი. გენერალ-ადიუტანტ ნიკოლაი სიბიაგინის თბილისისა და მის შემოგარენში (ქართლში) განლაგებული ჯარებით ახალციხე უნდა აეღო. ყარსისა და ახალციხის დაკავების შემდეგ მთელი ჯარი კრასოვსკის უნდა დაექვემდებარებოდა და ახალციხის დასაკავებლად დაძრულიყო.

ოსმალეთის სულთანმა ჯარის უდიდესი და ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილი ბალკანეთში რუსეთის დუნაის არმიის წინააღმდეგ გადაისროლა. ამავე დროს, მან უკვე, 1828 წლის აპრილში, არზრუმის სერასკირ ლალიმ ფაშას უბრძანა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფ ანატოლიის არმიას დაუყოვნებლივ დაეწყო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამფლობელოების დარბევა. ლალიმ ფაშამ არზრუმში სამხრეთ საზღვრის მოიწვია, რომელზეც



დასრულება

სებმა იერიში მიიტანეს ყაია ბაშის კლდეზე, რომელიც თავს დაჰყურებდა ახალციხეს. დილის 5 საათზე რუსებმა ყაია ბაში ოსმალებს დაატოვებინეს. ამ დანაკარგმა მიიმე მდგომარეობაში ჩააგდო ახალციხის გარნიზონი.

ახალციხის გარნიზონმა, როგორც კი რუსეთის ჯარის მიერ ახალციხის ალყაში მოქცევის ამბავი შეიტყო, ციხე დატოვა და უკან დაიხია. ტორმასოვს აწყურის ციხესთან პოლკოვნიკ პეჩერსკის მეთაურობით მცირე რაზმი ჰყავდა დატოვებული. საქართველოს მთავარსარდალმა პეჩერსკის უბრძანა, ულტიმატუმი წაეყენებინა აწყურის გარნიზონისათვის.

ბრძოლები ახალციხისათვის წარმატებით გრძელდებოდა. 1810 წლის 22 ნოემბრიდან ოთხი დღის განმავლობაში რუსების არტილერიამ ქალაქში ყველაფერი ნაცარტუტად აქცია, გადაინვა შერიფ ფაშას პალატებიც. ტორმასოვი შეტევაზე გადასვლას მაინც არ აპირებდა, მან ციხეში თავი წარმომადგენელი წარგზავნა და ციხის ჩაბარება მოითხოვა. შერიფ ფაშამ ტორმასოვს უარი შემოუთვალა. მაშინ საქართველოს მთავარსარდალმა ახალი მოთხოვნა წაუყენა: იმერეთის მეფე სოლომონი გადმოემცი და ახალციხიდან ლეკები გააძევეო. შერიფ ფაშას პასუხი ასეთი იყო: იმერეთის მეფე სოლომონი ერეგანს წავიდა, ლეკები კი დიდი ხანია გაიქცნენო.

მოულოდნელად აღექანდრ ტორმასოვმა ახალციხეს ალყა მოხსნა და თბილისისაკენ გამობრუნდა. ალყის უცაბედად მოხსნის მიზეზი შავი ჭირის ეპიდემია იყო. შავმა ჭირმა პირველად ექვსი ქართველი მოლაშქრე იმსხვერპლა, ვარაუდობენ, რომ შავი ჭირი იმერეთიდან ზეკარის უღელტეხილით გადმოსულმა სიმონოვიჩის ჯარმა მოიტანა (შავი ჭირი იმერეთში 1809-1811 წლებში მძინვარებდა). ტორმასოვმა სასწრაფოდ ბრძანება გაუგზავნა საქართველოს მმართველ გენერალ-მაიორ ფიოდორ ახვერდოვს და პოლკოვნიკ კარლ სტალს: საქართველოში შემომავალ ყველა გზაზე კარანტინი დაანესეთო.

ამრიგად, ახალციხეზე წარმატებით დაწყებული ლაშქრობა შავი ჭირის გამო მოულოდნელად შეწყდა და სამცხე-საათაბაგოდან ოსმალთა განდევნა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომამდე გადაიდო.

ლაშქრობა ახალციხეზე. რუსეთ-ოსმალეთის ომის ბალკანეთის ფრონტზე ბრძოლები 1811 წელსაც რუსების გამარჯვებით წარიმართა. 1811 წლის 1 ოქტომბერს ოსმალებმა სილისტრიის ძლიერი ციხესიმაგრე ჩააბარეს. ომი დასასრულს უახლოვდებოდა. საქართველოს ახალმა მთავარსარდალმა ფილიპ პაულუჩიმ რუსეთის სამხედრო მინისტრი ახალციხის დაკავების აუცილებლობაში დაარწმუნა და ნებართვის მიღების შემდეგ ლაშქრობა დაგეგმა. სამხედრო ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური პოლკოვნიკი პიოტრ კოტლიარევსკი. კოტლიარევსკის დაქვემდებარებაში იყო ქართველ გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონი, ეგერთა 44-ე პოლკის ბატალიონი 100 კაზაკითა და 2 ზარბაზნით. ეგერებმა მიიღეს ბრძანება, რომ დმანისის ვაკეში ჩასულიყვნენ ნალკაში, საიდან

უახლოვდნენ. იერიშის წინ კოტლიარევსკიმ მეგრძოლები ერთი საათით დასვენა. ციხის იერიში 8 დეკემბერს ღამის 2 საათზე დაიწყო. ოსმალები შეტევას არ ელოდნენ. ღამის 3 საათისათვის რუსებმა ციხის კედელი გადალახეს და ოსმალთა 2 ბატალიონის ხელში ჩაგდება მოახერხეს. ამის შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში რუსებმა ციხედელი და მთელი ციხე დაიკავეს. გამარჯვებულებს დიდი ალაფი სვდათ: 19 ზარბაზნი, 131 ფუთი თოფის ნაშალი და დიდი რაოდენობით ზარბაზნის ყუმბარები. ახალციხის გარნიზონი მთლიანად გაუღიჯეს, გარდა ტყვედ დახვებულნი 45 მეგრძოლისა. რუსების დანაკლისი ძალზე მცირე იყო: დაღუპა 1 უმცროსი ოფიცერი, დაიჭრა 1 უფროსი ოფიცერი, 2 უმცროსი ოფიცერი და 26 რიგითი.

ახალციხის ციხის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო იქ გარნიზონის დატოვება, მაგრამ თბილისიდან გარნიზონის პროვიანტით მომარაგება შეუძლებელი იყო. პიოტრ კოტლიარევსკის აფიქრებდა ისიც, რომ ეგერთა 46-ე პოლკის ბატალიონი ჯერ კიდევ არ ჩანდა, არ ჩანდა კაზაკთა რაზმიც. პოლკოვნიკი იძულებული გახდა ეგერთა ბატალიონის მოსაძებნად ოფიცერი გაეგზავნა, რომელსაც ბატალიონი ახალციხეიდან 20 ვერსის მანძილზე მდებარე სოფელ კოთელიაში უნდა მიეყვანა. 1811 წლის 9 დეკემბერს კოტლიარევსკი სოფელ კოთელიაში ჩავიდა, მაგრამ იქ მოსახლეობა არ დახვდა და იძულებული გახდა ჯარი ისევ ახალციხეში დაებრუნებინა. სურსათის (პურისა და ხორცის) მომარაგების მიზნით კოტლიარევსკი ქართლში გრენადერთა პოლკის 800 მეგრძოლით, 60 ეგერთი, 150 კაზაკითა და 2 ქვემებით მახლობელი სოფლების შემოვლას შეუდგა. ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს 1.000 ცხვირი და 60 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ხორბალი იმდენად მცირე რაოდენობით იქნა მოპოვებული, რომ ახალციხის გარნიზონს 1812 წლის 1 თებერვლამდე თუ ეყოფოდა. კოტლიარევსკიმ ახალციხეში მათი ბორძეგის მეთაურობით ეგერთა 46-ე ბატალიონი და 30 კაზაკი დატოვა. რუსეთის ჯარი ახალციხეიდან ნალკის ვაკეში გორში დაბრუნდა.

ოსმალებმა ისარგებლეს იმით, რომ რუსეთის ჯარები 1812 წლის იანვარში კახეთში დაწყებული აჯანყების ჩახშობით იყვნენ დაკავებული და რევანშის აღება გადაწყვიტეს. ახალციხის ფაშა შერიფმა 5.000 მეგრძოლი შეკრიბა და 1812 წლის 21 თებერვალს ახალციხის მტურში დაიწყო. ოთხსაათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ ფაშა დარწმუნდა, რომ ციხეს ვერ აიღებდა და ხერთვისის ციხეში დაბრუნდა. შერიფ ფაშა ახალციხეზე მეორე შეტევის დაწყებას აპირებდა, მაგრამ როდესაც კახეთში აჯანყების დამარცხების ამბავი შეიტყო, ახალციხის დაბრუნებაზე ხელი აიღო.

რუსეთმა წარმატებით მოიპოვა ომის მთავარ ფრონტზე, დუნაისპირეთსა და ბალკანეთში. 1811 წელს რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე ბრძოლაში ოსმალეთის ჯარები სასტიკად დაამარცხა. ომის გაგრძელება ოსმალეთს სასი-

1828-1829 წლების ომი

1806-1812 წლების ომმა ვერ გადაჭრა რუსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგობა ვერც ბალკანეთსა და ვერც სამხრეთ კავკასიაში. ორივე სახელმწიფო ახალი ომისათვის ემზადებოდა. 1828 წლის 26 აპრილს ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ბესარაბიაში განლაგებულ რუსეთის ჯარებს ოსმალეთის ტერიტორიაზე შეჭრა ებრძანათ. რუსეთ-ოსმალეთის ომი ორ ფრონტზე, ბალკანეთსა და კავკასიაში, დაიწყო. რუსეთის დუნაის არმიამ (95.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) გენერალ-ფელდმარშალ პიოტრ ვიტგენშტეინის სარდლობით და კავკასიის კორპუსმა (25.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) გენერალ-ადიუტანტ ივან პასკევიჩის სარდლობით საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს. დუნაის არმიას უნდა დაეკავებინა მოღოვია, ვლახეთი და დორბუჯა, აეღო შუმლისა და ვარნას (ბულგარეთი) ციხესიმაგრეები. კავკასიის კორპუსის უპირველეს ამოცანად ითვლებოდა ყარსის, ახალციხის, ახალციხის დაკავება.

პეტერბურგში ჯერაც არ იცოდნენ თურქ-მანჩაის ზავის (1828 წ. 10 თებერვალი) დადების შესახებ. კავკასიის მთავარსარდლისათვის გადასაცემად რუსეთის იმპერატორის მიერ ოსმალეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ 1828 წლის 26 აპრილს ხელმოწერილი მანიფესტი პეტერბურგიდან თბილისში საგანგებო კურიერმა ჩამოიტანა. 26 აპრილისათვის კავკასიის კორპუსის ძირითადი ძალები ჯერ კიდევ ირანის ტერიტორიაზე იდგა. ასე რომ, რუსეთ-ოსმალეთის 500 ვერსის სიგრძის საზღვარი შეკვეთილის (წმ. ნიკოლოზის) სიმაგრედან ერეგის სანაპირომდე პრაქტიკულად დაუცველი იყო. საქართველოს მოსაზღვრე ოსმალეთის ტერიტორიაზე ტრაპიზონის, ყარსის, ბაიაზეთის, არზრუმისა და ახალციხის საფაშოები მდებარეობდა. ყველა ამ საფაშოში განლაგებული ჯარების სარდალად არზრუმის სერასკირი ითვლებოდა. ომის დაწყებისთანავე სულთანმა არზრუმის სერასკირად ლალიმ ფაშა დანიშნა, რომელსაც ოსმალეთის აზიური ნაწილის დაცვა დაევალა. ლალიმ ფაშას დაქვემდებარებაში გაიგზავნა ეგვიპტეში ნაპოლეონის წინააღმდეგ ომების მონაწილე, ცნობილი სარდალი მუჰამედ ფაშა. ლალიმ ფაშა ენერგიულად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. პირველ რიგში გაამარჯა რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო რაიონები, ააგო რამდენიმე ახალი სიმაგრე, შექმნა საბრძოლო მასალისა და პროვიანტის მარაგი. ლალიმ ფაშას დაქვემდებარებაში 40.000 მეგრძოლი იყო. ოსმალეთის ჯარები არზრუმში იყრიდნენ თავს.

იმპერატორმა ოსმალეთთან ომში კავკასიის კორპუსის საბრძოლო მოქმედებების გეგმა ასე განსაზღვრა: 1. კავკასიის კორპუსს აქტიური საბ-

გადაწყდა: ანატოლიის არმიის ძირითადი ძალები (60.000 მეგრძოლი) ყარსის ციხესიმაგრესა და ქალაქ ყარსის გარშემო განელაგებინა. ყარსიდან ოსმალეთის ჯარს მუჰამედ ფაშას საერთო სარდლობით გიუმრისა და ერეგისათვის უნდა შეეტანა, ხოლო ახალციხის ფაშა იმერეთში უნდა შეჭრილიყო. ლალიმ ფაშას საბოლოო მიზანს თბილისის დაკავება წარმოადგენდა. არზრუმში ოსმალეთის ჯარების თავმოყრა ძალზე ნელა მიმდინარებდა. ლალიმ ფაშა არ ჩქარობდა, რადგან იცოდა, რომ რუსეთის დუნაის არმიამ ჯერ კიდევ ირანში იდგა, ხოლო სამხრეთ კავკასიაში დილსოციურებული ჯარები სხვადასხვა პუნქტში იყო გაფანტული. ამასთან ერთად, ლალიმ ფაშა დაზვერვამ შეაცდინა, რომლის მონაცემებითაც სამხრეთ კავკასიაში შიმშილი მძინვარებდა, რაც რუსეთის ჯარის დაუყონებლივ შეტევაზე გადასვლას გამორიცხავდა. ლალიმ ფაშასავე განსხვავებით, რუსეთის ჯარების შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია ახალციხისა და ყარსის ფაშებს გააჩნდათ. მათ ადრევე შეიტყვეს, რომ ყარსისა და ახალციხის მიმართული რუსეთის კავკასიის კორპუსის ჯარების გადაჯგუფება მიმდინარებდა და მალე რუსები შეტევასაც დაიწყებდნენ.

საბრძოლო მოქმედებები 1828 წელს ერთდროულად დაიწყო ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში. ბალკანეთში შეჭრისათვის თავმოყრილი რუსეთის ჯარები ბევრად აღემატებოდა სამხრეთ კავკასიაში განლაგებულ ჯარებს. 1828 წელს რუსეთის არმიამ მდინარე პროტი გადალახა და მოღოვის სამთავროს ტერიტორიაზე შევიდა. შემდეგ რუსებმა დაიკავეს ქალაქები იასი და ბუქარესტი.

საბრძოლო მოქმედებები კავკასიის ფრონტზე. მართალია, ივან პასკევიჩს პეტერბურგის მიერ დასახული საბრძოლო მოქმედების გეგმის შესასრულებლად აუცილებელი ჯარი არ ჰყავდა, არც საბრძოლო საჭურვლისა და პროვიანტის სერიოზული მარაგი გააჩნდა, მაგრამ მდგომარეობას ამსუბუქებდა ლალიმ ფაშამ მიერ დაშვებული შეცდომები და არზრუმში ანატოლიის არმიის თავმოყრის პროცესის გაჩქარება. შექმნილ ვითარებაში პასკევიჩმა გადაწყვიტა ოსმალეთისათვის დაესწრო.

1828 წლის 5 ივნისს პასკევიჩი თბილისიდან გავიდა, რათა საბრძოლო მოქმედებისათვის ადგილზე ეხელმძღვანელა. კავკასიის მთავარსარდალი გიუმრში (ალექსანდროპოლში) ჩავიდა და ჯარებს მდინარე არაპანის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა და ოსმალეთის საზღვრებში შეჭრა უბრძანა. მდინარეზე პირველი დონის კაზაკთა პოლკები გადავიდნენ. შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარების საერთო სარდლობას გენერალ-ლეიტენანტი ივან ვაბდოლსკი ახორციელებდა. გენერალმა ჯარები სამ პრივადად დაყო.

(გაგრძელება იქნება)

შოთა ლომსაჲ

მესხეთის, ანუ ზემო ქართლის პროვინციები ძირითადად მტკვრისა და ჭოროხის სათავეებშია განლაგებული. ამ მხარის ისტორიული საზღვრები ერთ დროს შორს იყო გადაშლილი. სამხრეთით იგი მდინარე არაქსს აღწევდა და არაქს აქეთ მხარე იბერების მკვიდრ და განუყოფელ მამულად ითვლებოდა,¹ რომ საქართველოს საზღვარი ძველთაგანვე შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოლახის ხეობა იყო, რომელიც ქარზრუმის ახლოს გადიოდა.² ალბათ ამიტომ, რომ გამოვლილი ისტორიული უბედურების მიუხედავად, იტალიელმა

არტაანს რბევა დაუწყო.³ 1577-78 წლებში არტაანის მხარე ხელიდან ხელში გადადიოდა და ახალ-ახალი რბევებისა და განადგურების ობიექტი ხდებოდა. შემდეგ იგი კვლავ ქართველებმა დაიჭირეს „ენკენის-თვის ნახევარს ქაჯთა ციხეს მოვადექით. ღვინობისთვის ორს გურგაქ შემოგვეწყო და ველი მოგუცა. გაგბრუნდით და ურთის ციხე საყდარი წავართვით.“⁴ თურქებსო. მაგრამ თურქეთს და სპარსეთს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1578 წ. 10 აგვისტოს. ამ დღეს და სისხლისმღვრელ ბრძოლაში ოსმალებმა გაიმარჯვეს.

ამ ბრძოლის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანი ციხეები: ველი, თეთრციხე, ქაჯ-

მცხოვრებნი კათოლიკობაზე მოუქცევია.⁵ ბოლოს ველის გაკათოლიკებული მოსახლეობის სულიერი უფროსობა ხელთ იგდო ახალციხის პროვიკარმა და იქ ქართული ტიპიკონის ნაცვლად სომხური ტიპიკონის შეტანა სცადა. 1780-იან წლებში ველის წინამძღვარად დაინიშნა ქართული ენის მცოდნე პატრი პოლიკარპო. „ველელებმა პ.პოლიკარპო დანიშნეს ქართულ ტიპიკონზედ 1787 წ. იესოსიანები, რომ სტამბოლიდან დადანიან მივიდნენ, ნახეს ერთი მიტროპოლიტი თავისი მღვდლებით კლარჯეთში და სათაფლიაში“⁶ – სწერს იერონიმე მულაშაშვილი მ. თამარაშვილს. პოლიკარპოს ჩასვლისას ს.ველის მხოლოდ

ფერი შეუცვლია მშობლიური ენისათვის. ასე რომ, „რასაც ერთი ენით ვერ გაიგებდნენ ამ სოფლის მკვიდრნი, მისი გაგება შესაძლებელი ხდებოდა „მეორე ენით“ და პირიქით. ეს პროცესი თვით ველელ ქართველებსაც კარგად შეუნიშნავთ და 1790-იანი წლების ახლოს, ახალციხეში უფროსი პატრიარქის ქართულად შედგენილი ამნაირი წერილი გაუგზავნიათ: „ქ.ცოდვილი ერნი, ველის ზოგად კათოლიკები, ქართულ გვარისანი უმწყემსოდ დაცვიწულნი... ამას გეხვეწებით და ვეუწუხებით, რომ ჩვენი რიგის მღვდელი ღმერთს გამოუგზავნია ჩვენთვის და ეგ ჩვენი კათოლიკე მამები აყენებენ. ახლა ამ წყალობას ვითხოვთ თქვენის

სოფელ ველის ისტორიიდან



მოგზაურმა არქანჯელი ლამბერტიმ XVII ს. 30-იან წლებში ქარზრუმის მახლობლად ნახა ჯერ კიდევ გადარჩენილი ქართული სოფლები, რომელთაც არზრუმელად წოდებული ქართველი ეპისკოპოსი ევდათ.³

ადრე ფეოდალიზმის დროს აქ დაწყებულმა „საეკლესიო მოძრაობამ“ მესხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც ძალუმად იჩინა თავი და არტაან-პალაკაციოს მხარეში მრავალი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგლი აღმართა. IX-X საუკუნეებისათვის ეს მხარე საკმაოდ მომრავლებული და ეკონომიურად მოღონიერებული იყო, სადაც დიდ კულტურულ მშენებლობას ეწეოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი კუროპალატები, რომელთაგან თავისი დაუღალავი საქმიანობით გამოირჩეოდა აშოტ კურაპალატის ძე გვარამი.

1879 წ. ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ არტაანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფ. ველში ნახა და აღწერა ველის უძველესი ტაძარი, რომლის ფრესკები ჯერ კიდევ კარგად ყოფილა შემონახული. ბაქრაძემ აქვე წაიკითხა კედლის ქვაზე შემორჩენილი წარწერა, რომელიც მიუთითებს, რომ ეკლესია აღმშენებულია 954 წ. გვარამ კურაპალატის წარსაგებით.⁴

როგორც მთელ მესხეთს, ისე ამ მხარესაც XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. შემდეგ კი, საქართველოს ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს დასუსტებასთან ერთად სუსტდება ეს მხარეც და შინაფეოდალური შუღლისა და საგარეო ომების ასპარეზი ხდება.

კოლა-არტაანისა და ჯავახეთის მოსახლეობა განსაკუთრებით განადგურდა XVI საუკუნის სამოცდაათიან წლებში, თურქეთისა და სპარსეთის ომების დროს. 1577 წ. თურქებმა სპარსელების წინააღმდეგ ახალი ომი დაიწყეს და არტაან-პალაკაციოს მიმდგომი მიდამოები დაიჭირეს, ამ დროისათვის თურქეთი ჯიუტად მოიწვევდა წინ და გათურქება და გამაჰმადიანება მოჰქონდა თან. სამცხის ათაბაგის ქვრივის დედისიმედის მეგვიდრეებმა გადამწყვეტ ჟამს ძალა მოიკრიბეს და თურქების სამხედრო-პოლიტიკურ ექსპანსიას წინ გადაელობნენ. ამავე დროს „ტოკმაკ ხანი 30.000 სპარს ლაშქრითურთ ჩილდირს შეესია და

თაციხე და ჩილდირი ოსმალების მორჩილებაში გადავიდა.“⁷ როგორც ამას მესხური დავითნის ქრონიკის ავტორი წერს: „პარსკევსა დღესა მარიამობისთვისა, ქაჯის ციხე, ველი და თეთრციხე წაგუართვეს ურუმთა“.⁸

1595 წ. როცა თურქეთმა ახლად დაპყრობილი გურჯისტანის ვილაიეთის აღწერა მოახდინა, მაშინ სოფელი ველი დიდი არტაანის ლივაში შედიოდა და ტყიან რაიონს განეკუთვნებოდა. ამ დროისათვის სოფელ ველში მოსახლეობა შესამჩნევად შემცირებულიყო და მხოლოდ 30 კომლიდა ცხოვრობდა. აი სოფლის მცხოვრებთა სიაც: ელიზარ იმარინდოს ძე, სახელად იასა, ფოცხვერა ძმა მისი, მახარებელ ძმა მისი, ბაინდურ გულას ძე, ვარძელ ბაინდურის ძე, ამირა პარტიროსის ძე, აზარა ძმა მისი, დემეტრე ??? -ისძე, ვარძელ ძმა მისი, ფირალი იორდანეს ძე, ????, ჯარჯის ძე, მურად ხუდაბაშის ძე, ადომა ფარადამის ძე, სოზა III - სძე, ქამაზა ძე მისი, სახელად მაცაცა, ბაინდურ ძმა მისი, სახელად გოშპარ, სახელად ყუბად, აბიათარ მახარობლის ძე, სახელად ბატატა, ველიბეგ ორბელიის ძე, ზაქარა იასას ძე, სუფია იოსების ძე, სახელად ფოცხვერა, ლალა ??? -ისძე, გიორგი ვერმიშის ძე, ივანე ვარდაის ძე.⁹

ამის შემდგომად ველი საქართველოს აღარ დაბრუნებია თითო-ორჯოა ხანმოკლე შემთხვევის გამოკლებით. იგი დიდხანს იტანდა თურქთა ძალადობასა და მაინც ინარჩუნებდა ეროვნულ ენას, ზნე-ჩვეულებასა და სარწმუნოებას. მე-18 საუკუნის დასაწყისში ს. ველი მაჰმადიანურ ოკეანეში დარჩენილ ქრისტიანულ ქართულ კუნძულს წარმოადგენდა, რომელიც თავს გარდახდებილი პოლიტიკური უბედურებების წყალობით დიდად შეწუხებული და შეზღუდული იყო.

1733 წლის ახლოს კაპუცინის ორდენის ერთ-ერთმა პატრმა ნიკოლა ჯირჯენთიმ, სოფ. ველს მიაღწია. როგორც ანდრია პალერმელის პროპაგანდისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, ამ ნიკოლა ჯირჯენთის თავისი ენერგიული მოქმედებით მომძლავრებული ველის ქართველობა და მათი მართლმადიდებელი წინამძღვარი მიუმხრია და ამ წინამძღვარის დახმარებით ველის

7 ოჯახი არ იყო კათოლიკური სარწმუნოების. ველის მცხოვრებნი – წერს ანდრია პალერმელი – უბრალო ხალხია, მომეტებულად მწყემსები არიან. მრავალი მათგანი რადგან ქართულიდან სომხურზე გადავიდა, სომხურიდან ლათინურზე. ბერძნის (იგულისხმება ქართული. შ.ლ.) ტიპიკონის ხალხი კაი თვალთ არ უმზერს სომხის ტიპიკონს... თუ ველი მიენდო პატრების მისიონის მზრუნველობას, – განაგრძობს ის, – მაშინ საჭიროა დაინიშნოს იქ ორი მისიონერი პატრი, რომლებმაც კარგად უნდა

მონყალე გულისაგან, რომ თქვენის ბრძანებით წყალობა უყოთ მაგ ჩვენ მღვდელსა, რომ ჩვენს საბრალო სულესს მოუაროს, ჩვენს ქართველ რიგზედა, არა თუ იმ შეჩვენებულის ფოციოს რიგზედა... ახლა თუ იკითხოთ ჩვენი ნამყენობა, ლათინთ ნამყენი და ნაყოფნი დამონმებულნი და მონადირებულნი ვართ არა თუ სომეხთ გვარისაგან და ესეც უწყოდეთ ბატონო თუ რომე მაგ მღვდელს წყალობას გვიზამთ. დიად ბევრ სულესს შეგძინათ ღ-თი. ხელს აწერენ : სიმონ, ძმისწული ეგრემა, ალექსანი, ელიზბარი, ყარაგოზი, დავითი; აბოსტოლი,



სომეხთა გადმოსახლება საქართველოში 1878-79 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

იცოდნენ თათრული და ქართული ენა, რათა საჭიროების დროს, რასაც ერთის ენით ვერ გააკეთებენ, მეორე ენის საშუალებით შესძლონ“ ამ საქმის გაკეთებაო.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილებულ და ობლად დარჩენილ სოფ. ველს ამ დროისათვის ათასნაირი პატრონი უჩნდება. 1785 წლის ახლოს ანტიოქიის მართლმადიდებელ პატრიარქს მოუნდომებია სოფ. ველის სამწყსოს დასაკუთრება და თავისი მოძღვარი ვინმე ვასილი გამოუგზავნია აქ, რასი გამო პროპაგანდას 1786 წ. 23 სექტემბერს ანტიოქიის პატრიარქისათვის კოტაქსტის წერილი გაუგზავნია და ამით კიდევ ერთხელ გაუსხვენებია, რომ ველი მისი სამწყსო იყო.¹² სომხური კათოლიკური თუ გრიგორიანული ეკლესია ხომ ველის დაუფლებისათვის ნამდვილ ომს ეწეოდა. ველის სარწმუნოებრივ დაუფლებას ცდილობდა თურქეთიც. ასე, რომ ამ პატარა სოფელს თავისი ნამდვილი სამშობლოს გარდა, რომელიც ამ დროს დიდ პოლიტიკურ ტკივილებს განიცდიდა, ყველა ეტანებოდა და ეპატრონებოდა.

როგორც ჩანს, მე-18 საუკუნის 80-იანი წლებისთვის სოფ. ველის მცხოვრებთა შორის ქართული ენა ეგრე მტკიცედ აღარ ყოფილა დაცული, იქ თანდათან ფეხი მოუკიდია თურქულ ენასაც და ქართული ენის ქსოვილში მრავალი თურქული სიტყვის შემოტანასა და დამკვიდრებას საკმაოდ

მესროფი, ასლანი, ყოყიო, სუნბული, პეტრე. ისაი, პავლეი, ოქრუაი, შიო, ელიკო, ცაცოი, თათაი“.¹³

სოფ. ველის მცხოვრებლებმა იცინან, რომ ქართული რიგისა (ტიპიკონის) და ენის, ქართველი მღვდლის დანიშვნა და სოფელში დატოვება, მათში ქართველობის დატოვებასა და გამარჯვებასაც ნიშნავდა. რომ ეს იქნებოდა ლათინურ-სომხური კათოლიკური ტიპიკონების კრახი, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათ ამგვარი საეკლესიო წინამძღვარი არავინ დაუმტკიცა. 1784 წელს სოფ. ველის წინამძღვარად ლათინური ტიპიკონის მქონე პატრი პოლიკარპო ინიშნება. მაგრამ 1787 წ. პატრი პოლიკარპო ხდება იმ დიდი ბრძოლის მსხვერპლი, რომელიც ლათინურსა და სომხური ტიპიკონების მიმდევრებს შორის არსებობდა. დამარცხებული და განდევნილი პოლიკარპოს ნაცვლად სოფ. ველს მოევლინა სომხური ტიპიკონის მქონე მღვდელი ხაჩატურა, რამაც „მწუხარება გამოიწვია ბერძნის ტიპიკონის ქართველ კათოლიკებში“.¹⁴ ამ ამბავს თვით რომი გამოხმაურებია და ერთი წლის შემდეგ სოფ. ველიდან ექსორიაქნილი პოლიკარპო კვლავ დაუბრუნებია ველს და ამ სოფლის სულიერი წინამძღვრობა ჩაუბარებია. სოფ. ველის განშემო ამგვარი კინკლაობა საეკლესიო წრეებში დიდხანს გაგრძელებულა და საქმე ისე წასულა,

¹ კ.პორფიროვენტი, გეოგრაფიკა, ტ. 4, ნაკვ. 2, გვ. 271
² ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 141
³ მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 111
⁴ ბაქრაძე, „ისტორიკო-ეტიმოლოგიკური ოჩერკი კარსკოი ოლასტი“, გვ.10

⁵ იქვე.
⁶ ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეორე, 1948, გვ. 272
⁷ „ქართლის ცხოვრება“ II, 1959. სახელმწიფო გამომცემლობა, გვ. 520. გურგაქ ვარაზაშვილი ამ დროისათვის ველის ციხის მფლობელად ჩანს, რომელიც ათაბაგების მხარეზე დგას. (ქართლ. ცხოვ. გვ.518)
⁸ ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მე-4, 1948, გვ.273
⁹ „ქართლის ცხოვრება“, ტ.II, გვ.464-465

¹⁰ გ.თათარაშვილი, დას. ნაშრომი
¹¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ.10, საქ. 319, ფურც. 31
¹² მ.თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 475

¹³ მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართულთა შორის“, 1902, გვ. 477
¹⁴ იქვე, გვ.478

რომ ხალხს არც ლათინურისა და არც სომხურის ტიპიკონის მღვდელი არ მოუხურვებია და მღვდლად ქართული ტიპიკონის მქონე ქართველი მღვდელი დაუნიშვნინებია. ჩვენ არ ვიცით ამ ქართველი წინამძღვრის ვინაობა. ვიცით მხოლოდ, რომ იგი ღრმად მოხუცებული 1801 წელს გარდაცვლილა და სოფელი კვლავ უწინამძღვროდ დარჩენილა.

რადგან სოფელს სხვა ენის ტიპიკონი არ სურდა, ხოლო იმ დროისათვის სოფ. ველში ქართული ტიპიკონის მქონე მოძღვარი ძნელი მოსაძებნი იყო, საქმის მოსაწესრიგებლად სოფელმა მიმართა კათოლიკური სამყაროს ცენტრს, რომს. ველელთა ამგვარის მიმართვის საპასუხოდ 1802 წ. 14 ივლისს ახალციხის პროვიკარს, პავლე შაჰყულიანს, პროპაგანდა წერდა: „მოგვხსენდა, რომ ველის დროული წინამძღვარი მიიცვლილა. ბერძნის ტიპიკონის სხვა მღვდელიც არ მოიპოვება, რომ ერის მოვლა შეეძლოს. უმძღვლოდა მეტად შავბნელი შეიქმნება აქაურ ქართველ კათოლიკეებსათვის და სქიზმატიკების მოქცევასაც დიდად ხელს შეუშლის... ამის გამო ახალციხის და ველის ბერძენ ქართველებსათვის (ბერძნის ტიპიკონის მქონე. - შ.ლ.) უკვე დადგენილი იყო მოგვეყვანინებინა რომში იმავე ტიპიკონის ორი ყმანვილი და ალგვეზარდა ურბანოს კოლეჯიაში, რათა მღვდლად კურთხეულიყვნენ და მაგ მრევლისათვის მოეწოდებინათ, როდესაც წინამძღვარი აღარ ეყოლებოდა... წმინდა კრებამ, რადგან კარგად უწყის ბერძენ-ქართული მღვდლების საჭიროება, კვლავ დაადგინა, რომ დავიბაროთ მაგ ტომის ორი ყმანვილი და გავეწვინათ ბაღინანთ გრიგოლ მღვდლის ხელმძღვანელობით. გთხოვთ ამოირჩიოთ ორი ახალგაზრდა 12 წლისაზე პატარა და არც 15 წლისაზე ხნიერი და პირდაპირ რომში გამოგზავნეთ“.¹⁵

პავლე შაჰყულიანი პროპაგანდოს ამგვარს გულისხმიერ თხოვნას მტრულად შეხვედრია და მონაფეთა შერჩევისა და დახმარების მაგივრად გაბოროტებულს რომისათვის მიუწერია, „საჭირო აღარ არის ქართველი მღვდლები, ბერძნის ტიპიკონისა აღარც მანდ ახალციხეში და აღარც ველში“.¹⁶ რადგან ქართველ ქრისტიანთა რიცხვი აქ ძალიან შემცირდა და ვინც დარჩა ქართველი კათოლიკეები, შეეჩვივნენ სომხურ ტიპიკონის მქონე მღვდლებისაგან სულიერი სამსახურის მიღებას.¹⁷ და აღარ ღირს რიცხვმცირე ქართველთათვის მშობლიურ ენაზე სულიერ მოძღვრებას მომზადება და ხარჯის განწევა.

ამ შემთხვევაში პროპაგანდამ ერთგვარი ანგარიში გაუწია სოფ. ველის მცხოვრებ ქართველთა მტკიცე მოთხოვნას და ახალციხის პროვიკარს პირდაპირ მისწერა, რომ საქმისათვის მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო როგორც ერთისა, ისე მეორე ადგილისათვის¹⁸ (ველისა და ახალციხის ეკლესიებში) ქართული ენის დატოვებასა და გაბატონებას. „წინდა კრება“ სოფ.

ველის მცხოვრებ ქართველების შესახებ მითითებას იძლეოდა. იქ მყოფ ქართველ კათოლიკეებს, რაგინდ ცოტა იყვნენ, ჰყავდეთ მღვდელი, რომელმაც საიდუმლოებები და საეკლესიო წესები შეუსრულოს მათ თავიანთი საკუთარი ტიპიკონისაგან.¹⁹ საქართველოში მყოფი მისიონერების მიწერ-მოწერებიდან რომმა კარგად იცოდა, რომ ახალციხისა და ველის მხარეში იმ დროს ხალხში გაბატონებულ ენას შეადგენდა მხოლოდ ქართული ენა, რომელზედაც საუბრობდნენ ქართველი მამადიანები, მართლმადიდებლები და კათოლიკეები, რომელნიც მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ, რომ აქაური ქართველობა „საჭიროებამ იძულებულყო მიემართათ სომხური ტიპიკონის მღვდლებსათვის წმინდა საიდუმლოების მისაღებად, რადგან სხვა გზა არა ჰქონიათ“.²⁰ რათქმა უნდა, რომს ქართულის ტიპიკონის დაცვით მხოლოდ ის ანტიერესებდა, რომ ამ გზით უფრო მეტი ქართულად მოლაპარაკე „სქიზმატიკა“ და არა კათოლიკე მიეზიდნა და გაეკათოლიკებინა. ამიტომ წმინდა კრება „ქართველის ყმანვილების ბერძნულ ტიპიკონზე აღზრდას“²¹ მტკიცედ მოითხოვდა და შაჰყულიანს ერთგული თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა.

პროპაგანდოს ძალდატანების შემდეგ შაჰყულიანმა გამოიხატა „ორი ყმანვილი ველელი ქართველი ბიძაშვილები იაკობი და ანდრია, ნათესავები მიცვალებულის სიმონ ბატონისა“²² და გაავაზვნა რომში.

იაკობისა და ანდრიას მომლოდინე ველელებს 1813 წლის შემდეგ ბევრი რამ დაატყდათ თავზე. ისინი ჯერ თურქებმა აიკლეს, როგორც ქრისტიანები,²³ შემდეგ კი ტიპიკონი შეუცვალეს და მათთვის არასასურველი სომხური რიტი დაუკანონეს.²⁴ 1813 წლის 24 მაისს პროპაგანდომ შაჰყულიანი, რომელიც სომხურ ტიპიკონზე იყო ნაკურთხი, კავუციანების მისიონის უფროსად დანიშნა. იმისათვის, რომ შაჰყულიანს მიღებული პატივი შეენარჩუნებინა, რომისაგან მოითხოვდა სომხური ტიპიკონის დამტკიცებას მთელი ამ მხარისათვის. მისი ფიქრით, თუ მთელს ამ მხარეში ერთადერთი სომხური ტიპიკონი იქნებოდა დაკანონებული, მას მიღებული თანამდებობაზე მოცილებული ევროპელები აღარ ეყოლებოდა და მტკიცედ ეკავებოდა თანამდებობა. მოვლენათა მსვლელობაც ისე წარიმართა, რომ სწორედ შაჰყულიანები გამოდიოდნენ ასპარეზზე. იგი, ერთი მხრივ, საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთთან, მეორე მხრივ, ახალციხის ფაშასა და საქართველოს მთავარმართებელთან შუამავლის როლში გამოდიოდა და თავისთვის შეუვალ

უფლებებს იხვეჭდა. 1829-1832 წლების სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ემიგრაციასა და არზრუმელი სომხების მიგრაციაში მანაც შეიტანა თავისი წვლილი. 1829 წელს არზრუმიდან მომავალ სომხების ნაკადს შეუერთდნენ აგრეთვე სოფელ ველის მცხოვრებნიც. დიდი ორომტრიალისა და უბედურების შემდეგ მათ მიატოვეს თავიანთი პირვანდელი ბუდე და ჯავახეთის ახალქალაქის გარშემო სოფლებში: ხულგუმოს, ბავრას, კარტიკამსა და ტურცხში დასახლდნენ. სამწუხაროდ, ჟამთა ვითარებას მათთვის მაინც დაეწინა თავისი კვალი. რვაას ოცდაათიან წლებში ქართული მხოლოდ მოხუცებულმა იცოდნენ. უფრო ახალგაზრდები უმთავრესად თურქულ ენაზედ ლაპარაკობდნენ და აქა-იქლა ურევდნენ საუბარში ქართულ სიტყვებს.²⁵ სოფ. ველის მცხოვრებ ქართველებს ჯავახეთში გადმოსვლისას უკვე დახვდათ სომხური კათოლიკური საეპისკოპოსო და ამ ტიპიკონის მღვდლები, ტერ-ოჰანესა და ტერ-პეტროსა დაენიშნათ სულიერ წინამძღვრად.

კვლავ დაიწყო დავა თუ რომელი ტიპიკონით ენერა ველიდან გადმოსულ ხალხს. 1841 წ. მათ მტკიცედ დაუკანონეს სომხური რიტი. ამგვარ ვითარებაში ჩაყენებული ხალხი თანდათან ივიწყებდა თავის ვინაობას და გაოგნებული და გაურკვეველი (რომ შთამომავლობა სხვა ჰქონდა, ენა სხვა და სარწმუნოება სხვა) ტერტერებს-ლა შესჩერებოდა თავის თავის საცნობად.

1870-იან წლებში ქართულ პუბლიცისტიკაში გამოჩნდა სოლომონ ასლანიშვილი, რომელიც წარმოშობით სოფ. ველიდან იყო. იგი დაიბადა სოფელ ბავრაში, განათლება მიიღო ახალციხის ქართულ სკოლაში და სიკვდილამდე ქართული პუბლიცისტიკის საქმეს ემსახურებოდა.

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში კავკასიის არმიის ხარმატებში და წინსვლაში ქართველი ხალხის ერთსულივანი აღფრთოვანება გამოიწვია. ამ ომში ხალხი საქართველოს სამხრეთ პროვინციების ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებითა და გაცხოველებით ადევნებდა თვალყურს კავკასიის ჯარების მოქცევებს. ფრონტის ამბებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა იმდროინდელი ქართული პრესა. „ივერიისა“ და „დროების“ რედაქციებში ცდილობდნენ სრულყოფილად გაეშუქებინათ ახლად შემოერთებული ქართული პროვინციების ყოფა-ცხოვრება. 1877 წ. ს.ბავრელი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული, რუსული, თურქული და სომხური ენები, თავისი მონადინებითა და სურვილით, როგორც „ივერიისა“ და „დროების“ კორესპონდენტი, არტანს ჩავიდა.

... ის მიხაროდა, - წერდა შემდეგ ბავრელი. - რომ ენახავდი იქ ჩემს მამა-პაპის სამშობლო სოფელს. იმ სოფელზე, საიდა-

ნაც ისინი არიან გადმოსახლებულნი, ბევრი ქება გამიგონია ჩემთა მოხუცებულთაგან. ... ისინი იმ სოფელს იგონებდნენ, როგორც თავიანთ საყვარელ დედას“.²⁶

არტანში ყოფნისას ს.ბავრელმა სხვა სოფლებთან ერთად ნახა და აღწერა სოფ. ველიც. ველში მას ახალციხიდან გადმოსახლებული გამაჰმადიანებული ქართველები დახვდნენ. ამ გამაჰმადიანებულ ქართველთაგან ს.ბავრელის მონაწილეობით მხოლოდ სამი მოხუცი ლაპარაკობდა ქართულს. ერთ მათგანს ჰასრათ მეზინიშვილს კიდევ ელაპარაკა და ბევრი საყურადღებო ცნობა ჩაინერა მისგან.

საინტერესოა ბავრელის მიერ გადმოღებული სოფ. ველის ეკლესიის კედელზე შემორჩენილი გვიანდელი მინაწერები: „1784 წ. პატრი ფოლიქარფიმ დავნერე“. „1799-სა მე ხოჯევათ ნიკოლოზმან დავსწერე“, „ეს მე ბალღამათ რძალმა ვარინემ დავსწერე ყულალ-სიზიანთ ვარანას ქალმა“, 1802 წ. პატრი ბასილოსი იყო, ... თებერვლისა ყოფილა თოვლი“. ასე, რომ სოფ. ველი უკანასკნელ ქართველების მეხსიერებაში დიდხანს დარჩა მისი სახე და მისი სახელი.

1883 წ. როცა სომეხ და ქართველ კათოლიკეთა კამათი „ტომობრობაზე და გვაროვნობაზე“ თანდათან გამწვავდა, მთავრობამ სცადა ამ საქმის დაინდობა და საკითხის შესასწავლად გამოყო კომისია - სახელმწიფო გამომძიებლის იგნატიევის თავმჯდომარეობით. იმავე წლის აპრილში იგნატიევი ავიდა ახალქალაქში და დაიბარა სოფელ ხულგუმოს, კარტიკამის, ბავრისა და ტურცხის ღრმად მოხუცებული ადამიანები, აქვე იყო კარტიკამის მღვდელი იაკობ იგიოხანოვიც. „გამომძიებელმა ჰკითხა ქართველ კათოლიკეების მარხების თაობაზედ. ცხადად მოახსენეს, რომ ჩვენ 1841 წლამდის ქართველ ტიპიკონს ვინახავდით, მარხვით სრულ ქართველებთან გვეჭირა და მერე სომხის ტიპიკონს მიგვჩვიესო“.²⁷

სამწუხაროდ, იგნატიევის მოხსენებით ბარათს შემდეგ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მათ სარწმუნოებრივ საკითხში არავითარი ცვლილება აღარ მომხდარა. ცხრა-საიანი წლების დასაწყისში დაარსებულმა სკოლებმა ამ სოფლებში ე.წ. „არაქართულ განათლების კადრები“ გამოუშვეს, რასაც მოჰყვა ძველი, მშობლიური ქართული ენის სრული გადავიწყება. დღესაც ამ სოფელთა მცხოვრებნი შინაურობაში თურქულ ენაზე ლაპარაკობენ და მეტი ნაწილი არაქართულ სკოლებში იღებს განათლებას.

ეს მეტად გულისხმიერი მაგალითი ერთი პატარა სოფლის „ველის“ თავგადასავლისა, სხვადასხვა ფორმებით ნიშანდობლივია სამცხე-ჯავახეთისა და მთელი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის.

შოთა ლომსაძე,

პროფესორი, აკად. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B, 1968

²⁶ გაზ. „ივერია“, 18, N26. ²⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაის ფონდი, >330, ფურც. 2

¹⁵ მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902, გვ. 487 ¹⁶ იქვე ¹⁷ იქვე ¹⁸ იქვე

¹⁹ იქვე ²⁰ იქვე: გვ. 488 ²¹ იქვე ²² იქვე: გვ. 495 ²³ როგორც ვიცით, 1910 წ. გუდოვიჩის ექსპედიცია ახალქალაქის დასაკავალად, მარცხით დამთავრდა. ახალციხიდან დაბრუნებულმა ასკერებმა გზად სოფ. ველი ააწიოკეს. ²⁴ ქართველ მოსახლეობაში უცხო ტიპიკონის დამკვიდრებას ზოგჯერ სასაცილო მდგომარეობამდე მიჰყავდა ეკლესია. მისიონერი ფორანელი აღნიშნავდა: „როდესაც იქ [ქართულ სოფელში, - შ.ლ.] პატრი იმყოფება და ლათინურად ან სომხურად სწირავს, ხალხი ხშირად წირვაზე პასუხს ქართული გალობით აძლევსო“ (თამარაშვილის აღწ. შრომა, გვ. 503).

²⁵ ახალციხის უფროსი პატრის ფილიპეს მოხსენებიდან, 1830 წლის 6 მარტის თარიღით. ამჟამად ჩანს, რომ ამ მხარეში მომხდარ და პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ცვლილებებს, ეთნიკური ცვლილებებიც მოჰყოლია. პატრი ფილიპე, როგორც დიდი ხნის ნამსახური ამ მხარეში ერთი მეორეს აღარებს პერიოდს ოცდაათიან წლებამდე და ოცდაათიანი წლების შემდეგ და დასძენს: საჭიროა შეისწავლონ: თათრული, ფრანგული, რუსული, სომხური და ლათინური“ (მ.თამარაშვილი. დასახ. ლიტერატურა. გვ. 516).

თამარ ბაბოქი
საქართველოს

ვინ ვარ, ან რა ვარ? - შენს ლოცვად ვდგავარ...
ფერფლი ცოტენისი, პაატას და ვარ, მსურს, იანანად მსახავდე ჩვილთა, - დედა ვარ შენთვის გასაზრდელ შვილთა!

...მე სვეტიცხოვლის ერთი კენჭი ვარ, ვარ დოლის ყანის ერთი მარცვალი, შენი დიდების საკურთხეველთან დაფერფლი და დასანაცრალი.

ქართული მიწის ერთი ბელტი ვარ და ერთი ვაზი ქართული ზვარის, გუთნისდედაზე ცოტა მეტი ვარ, ვარ ერთი ნოტი სამრეკლოს ზარის!

ქართული წყაროს ერთი წვეთი ვარ, გუმბათზე მშვიდი სუნთქვა ვარ ქარის, ბარად მუშა და მთაში მწყემსი ვარ, ბელურა - შენი მთისა და ბარის!

დავბადებულვარ მსახურად, მცველად, მტრულად შეხედა ვინმემ თუ შენს ცას, მეც ერთ ვარსკვლავად, ერთ ცისატყელად, შევემატები შენს ქართულ ზეცას!

..დამარქვი, დედავ, ბედნიერ დღეთა შემოქმედი და მემატანე!..
თამარის დროის დიდებუთ გხვდავ...
სულ გამარჯვების გზებით იარე!



ყინვისი

დასწვა და აანთო ათასი სანთელი -
სანთლები მლოცველნი ქართული მიწისა...
გარდასულ ხანათა, ტაძართა სათქმელი,
განძად მოგვიტანა ბებერმა ყინვისიმა!

ვფრება

წმინდაო მარიამ, ოთხ შვილს შეგავედრებ,
მიწყალე, აღმართში ქვა არ მომენიოს!
და კელაპტრად თუკი მამულს ვერ დავენთე,
სინათლე იმდენი მაინც მომეძიოს,
რომ პატროსან კაცს, ვით ციციანათელამ,
ვაჩვენო ტაძრისკენ სავალი გზაწვილი!..
ყველგან დაიფარე შობილი ქართველად!
გვედრებ მუხლმოდრეკით,
ცად ხელეგანვდელი!

მუკან თავლიშვილი

ამ ბოლო დროს ფრენოლოგია მოდაშია. განსაკუთრებით ეთავსება იგი რუსთველოლოგიას. ამ მხრივ ფრიად და ფრიად გამოსარჩევი გამოდგა ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული რუსთველოლოგია – X (2021). განსაკუთრებით საინტერესოა „პოეტიკის საკითხების“ რუბრიკით გამოქვეყნებული არა სტატია, არამედ რეზიუმე „თხრობითი პერსპექტივების ფუნქცია ვეფხისტყაოსანში“. ფრენოლოგიური რეზიუმის უსტა გახლავთ მია ბურდიაშვილი. მართალია, ავტორმა ფრენოლოგიური რეზიუმის ოსტატად წარმოაჩინა თავი და დავაგანმანა, რომ უცხო სიტყვების უადგილოდ და უაზროდ მოხმობით გურამ ბენაშვილის პირნავარდნილი მონაფეა, ოღონდ ესეც ცხადყო: ბენაშვილზე შორს წასულა და არა მარტო მისთვის და მისი მასწავლებლისათვის გაუგებარ უცხო სიტყვებს აჩლახუნებს, არამედ ბევრად უფრო ძლიერ სიტყვიერ ჩარფუზანას გვთავაზობს.

მკითხველს რომ ერთბაშად გული არ გაუფხეთქო, ჯერ შედარებით მსუბუქ რეზიუმე-გამოცანას გავაცნობ:

„მხატვრულ ტექსტში, ალბათ, ყურადღება გამახვილებულია უმთავრესად მთხრობელ ინსტანციაზე, იმაზე, თუ ვინ ყვება ამბავს, რომელი პერსპექტივიდან, როგორია დაშორება მთხრობელ მესა და განმცდელ მეს შორის. „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად ენაცვლება ერთ-



ფრენოლოგიაში

მანეთს მთხრობელის სხვადასხვა ტიპები, ხან წარმოგვიდგება ყოვლისმცოდნე ავტორად, ხანაც ექსპლიციტური მთხრობელის შემოყვანით უკანა პლანზე ინაცვლებს და ზოგჯერ დიეგესისის საშუალებებით ჩვენ მხოლოდ პერსონაჟთა საუბრის შემსწრენი ვხდებით. ლიტერატურულ ტექსტში ასეთი ცვალებადობა წამყვანი ტენდენცია იყო გვიანი შუასაუკუნეების მწერლობისათვის და თითქოს ერთგვარ შაბლონსაც წარმოადგენდა. პოემის სიუჟეტური ხაზი ერთი შეხედვით ძალიან ვაკვს საგმირო-სათავგადასავლო რომანისათვის დამახასიათებელ კომპოზიციას. იდილია/იდილის დარღვევის მიზეზი/გმირის მოგზაურობაში წასვლა მიზეზის საძებრად/მიზნის მიღწევად/დასასრული. ასე იგება თითქოს ერთი შეხედვით ტიპური სარიანდო რომანის სიუჟეტი. შედარებისათვის მოვიხმობთ მისე ხონელის „ამირანდარჯვანიანი“. მის ნაწარმოებშიც მთხრობელი ინსტანცია თავდაპირველად ჰეტეროდირექტურია და ავტორს უტოლდება... შემდეგ მნიშვნელოვანი ამბების გადმოსაცემად და სხვადასხვა პერსონაჟთა საგმირო-საფალავნო თავგადასავლების აღსაწერად ავტორს შემოყავს ჰომოდირექტური მთხრობელი სავარამისძე. შოთა რუსთაველთანაც ამგვარად მიდის მთხრობელის ცვალებადობა“ (106).

მკითხველი გაოგნებულია: მთლად ასე გადაქანჯალბულადაც არ ეწერება, მ. თავდიშვილი რაღაცას ამბობს და აბუქებს მოყვანილ ტექსტს, ოღონდ, მეგობარო მკითხველო, ზუსტად ასე წერია, არაფერს ვამბობ. აქ ვასაკვირიც არაფერია. რუსთველოლოგიაში, აბა, რას დაგინერდა ის ავტორი, რომელმაც ელემენტარული რამეებიც კი არ იცის. კერძოდ, წარმოდგენაც არ აქვს მესხეთე კლასის პროგრამით გათვალისწინებულ ირიბობიექტური ნიშნების ხმარების წესზე და გვიწერს ყველას, ნაცვლად სიტყვისა ჰყვება; მთხრობელის, ნაცვლად მთხრობლისა; სხვადასხვა ტიპებით, როცა სწორია სხვადასხვა ტიპი; შუა საუკუნეები ორი სიტყვა და გვიწერს ერთად შუასაუკუნეების; მართალი ჰგონია ვაკვს და არც როდის მოუსმენია სწორი ჰგავს; ტიპური ეჩვენება მართებულად, რადგან არასოდეს ჩაუხედავს ლექსიკონში და არ დარწმუნებულა, რომ უნდა დაეწერა ტიპური.

მე განსაკუთრებით მენიაზა ავტორის სამუშაო ტერმინი მთხრობელი ინსტანცია. ხომ მაგარია?! დიახ, მაგარია, რადგან ერთი რუსული სამეცნიერო ტერმინის უბადრუკი და უსახური თარგმანია. ამიტომაც გამოვიდა ასეტროიდ მუა-მუასაგით უფორმო და სამინელი. უკუღმართი ტინის მონაჭყლეტია ფრაზა: „როგორია დაშორება მთხრობელ მესა და განმცდელ მეს შორის...“

თურმე შესაძლებელია დისტანცია არსებობდეს მთხრობელსა და განმცდელ შორის; თურმე მე რომ მთხრობელი ვარ, ვარსებობ ლენინგრადში, ხოლო, როგორც განმცდელი, ვიმყოფები კუნძულ სახალინზე.

ამ უზარმაზარი აზრადიან რაიმე სულ უმცირესი, პანანკინტელა აზრის გამოტანაც შეუძლებელია. სამუქფოდ, ნიაგარის ჩანჩქერივით იფრქვევა უნიჭობა, უგერგილობა, სი-

სულელი.

მემინია, მკითხველმა არ დამასწროს და ჩემზე ადრე არ „მოინონოს“ გაურკვეველი ეროვნებისა და სქესის ტარაბუას მომგვრელი ტერმინები. მაგალითად, ისეთები, როგორცაა ექსპლიციტური და დიეგესისი, ტენდენცია და ინსტანცია, ჰეტეროდირექტური და ჰომოდირექტური... ექსპლიციტური მაინც დაეწერა! ერთი სიტყვით, პროფესორი გურამ ბენაშვილი რომ ამით გაეცნობა, შურისაგან მამლის კუჭვით გალურჯდება – ეგ უცხოური ტერმინები ჯერ შე უნდა მეხმარა და ვერ კი მოვიფიქრეო!

რაც უნდა იყოს, მე მაინც სუყოველზე უფრო ეგ ფრაზა მენიაზება: „შოთა რუსთაველთანაც ამგვარად მიდის მთხრობელის ცვალებადობა“.

ახლა ჩვენი სწავლულ-რუსთველოლოგის მეორე „ნარატივი“ გავსინჯოთ: „წამყვანი ტენდენციები მეტ-ნაკლებად აირეკლება ხოლმე ყოველი შემოქმედის ნარატივში. მათი დაძლევა და ტრადიციულიდან ინდივიდუალურისაკენ სწრაფვა მწერლის უმთავრესი ღირსება და თვითმიზანია“ (106).

ხომ ყოველი სინტაგმა სისულელე და უაზრობაა, ოღონდ კუბში აყვანილი უაზრობაა პირველი და მეორე წინადადებების ერთმანეთზე გადაბმა. პირველი გვამცნებს: ყოველი მწერალი ეპოქის წამყვან ტენდენციებს ითვისებს. ეს კარგი რამაა, საქებაარია, ოღონდ მეკლავარი მეორე წინადადებით გვეუბნება – ეგ კარგი ტენდენციები მწერალმა უნდა დაძლიოს და მიატოვოსო: „მათი დაძლევა – მწერლის უმთავრესი ღირსება“.

ნაჩრევის მეორე ადგილი ასეთია: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ მრავალი ყმიანი.“ (რუსთაველი 1986: 19)

ამბის ასეთი დასაწყისი თითქოს განვითარებასაც ერთნაირს პოვებს...“

ჯერ ერთი, რა ქართულია – „განვითარებასაც ერთნაირს პოვებს?“ უნდა ასე: ერთნაირად განვითარდება, ოღონდ უფრო უარესი სხვაა: ამბის ასეთი დასაწყისი რომ განვითარებასაც ერთნაირს პოვებს – ვისთან შედარებით ან ვისთან შეპირისპირებით „პოვებს ერთნაირ განვითარებას“ ამბის ერთი დასაწყისი?! ყველაფერი ვასაგები იქნებოდა, ამბის ორი დასაწყისი რომა გვექონოდა, მაგრამ ერთადერთი დასაწყისი ერთნაირ განვითარებას როგორ პოვებს? ამასთან ერთად, ავტორის სწორად ვერც ციტატა გადმოუწერია: ლაშქარმრავალი ერთი სიტყვაა, ხოლო მის შემდეგ უნდა დაისვას მძიმე. ამასთანავე, „ღვთისაგან“ დღევანდელი სიტყვაში უნდა იყოს „ღმერთისაგან“.

მამ, გონმა არ იცის, ხელი რასა წერს, და ხელმა არ იცის, ვის ემსახურება: გონსა თუ ტრა...მალს?

ახლა მთლიანად მოვიყვანოთ ნახევრად ილუსტრირებული ეპიზოდი: „ამბის ასეთი დასაწყისი თითქოს განვითარებასაც ერთნაირს პოვებს, შემდგომ იცვლება მთხრობელი ინსტანცია და ჰომოდირექტურამდე დაიყვანება, რითაც იცვლება პოემაში პერსპექტივა, დრო,

მაგრამ აქვე უნდა დავამატოთ, რომ რუსთველთან თხრობა უფრო მონსრიგებულია და ყოველი დეტალი დატვირთულია იდეოლოგიურად...“ (107).

ამის დამწერს რომ არაფერი ეშველება, ეს ცხადია, ოღონდ რა ეშველება მხრეკლის პატრონს?

ამ „ლავას“ ერთი ნორმალური ფრაზა შეცვლიდა: რუსთველის თხრობა უფრო მონსრიგებულია, ვიდრე „ამირანდარჯვანიანის“ ავტორისა, და პოემის ყველა დეტალი იდეოლოგიურად არის დამუხტული.

აი, მთელი ამ დომხალ-ბაზრის ლოგიკა და მათემატიკა!

მკითხველს შეეახსენებ: სულელოგი მონაკვეთები აღმავალი წესით მომყავს. ავტორ ნინებზე უარესი ეკვილიბრისტიკა“.

„ვეფხისტყაოსანში მოქმედ პირთა მეტყველების სამივე სახეობა ვხვდებით – ციტირებული, ირიბსა და მთხრობის. პერსონაჟთა შინაგან თუ გარეგან მონოლოგზე დაკვირვებით...“ და ა.შ. (107).

ახლა არკვიოს მკითხველმა, რას ნიშნავს მეტყველების სამივე სახეობა: ციტირებული, ირიბი და მთხრობილი. ამაში მას მე არ დავხმარებ, სამუქფოდ, შინაგან და გარეგან მონოლოგზე ჩემს მონოლოგს კი დიდი საიმოვნებით მოვასმენინებ.

ათობით წელია, კრიტიკაში ვმუშაობ და ასეთი დიდი სისულელი დღემდე არა მსმენია, ვალიარებ, არც პროფესორ გურამ ბენაშვილისაგან. უფრო მეტიც, არც პროფესორ ირმა რატინისაგან. ჩვენი უბადრუკი ავტორი გულუბრყვილობის თავდაჯერებულობით მსჯელობს შინაგან და გარეგან მონოლოგზე. მასადაამე, არა სცოდნია ელემენტარული რამ: მონოლოგი შეიძლება იყოს მხოლოდ შინაგანი და შინაგანი; სხვაგვარი მონოლოგი არ არსებობს!

მაგრამ ასე შორს მიმავალ ცოდნას ვერ მოვსთხოვ ჩვენს ლაბასუ ავტორს, რადგან მან ელემენტარული ქართულიც არ იცის. განა იქვე არ გვიწერს (107 გვ.) ასეთ ფორმებს: „ჩვენს წინაშე“ (უნდა ჩვენ წინაშე); „მე-19, მე-20 საუკუნეებში“ (უნდა – საუკუნეებში); წერია: „ასეთია მაგალითად ფაქტანი“. მაგალითად ჩართულია და მძიმეებით გამოიყოფა. ბარემ იმავე გვერდის სხვა შეცოდებებიც აღვნიშნოთ: „ამით რევიპინტის ღრმა ჩართულობას უზრუნველყოფს“, ოღონდ რაში? ამაზე ავტორი არაფერს ამბობს; მამ, წინადადება არაა დასრულებული. ესე იგი, „ავტორი გულში მღეროდა, მკითხველი, ბანი მიხარაო!“ სხვა მაგალითი: „თვალთახედვა ანუ ფოკალიზაცია პოემაში თითქმის რამდენჯერმე უტოლდება ნულს“.

ყოყმადღებას ნუ მიაქცევთ ჩართულის მართლწერას, რომ „ანუ ფოკალიზაცია“ წინ და უკან ყოვლის ნიშნით არის გამოსაყოფი, განა ამ აბდაუბდიდან რაიმე გაიგეთ?!

ვერც ვერასოდეს გაიგებთ. რატომ? იმიტომ, რომ ეგაა აზრის ფეკალიზაცია და არა ფოკალიზაცია!

ახლა მომდევნო გვერდს ვესტუმროთ.

„რუსთაველთანაც ვხვდებით თხრობას სხვადასხვა საფასურად“ (108).

აქაც ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ „ასე ღრმა“ მკვლევარი ხმარობს არამეცნიერულ ფორმას რუსთაველი. მამ, მან არ იცის ამ მცდარი ფორმის წარმოშობის ამბავი. ამდენად არც ის, რომ სერიოზული მეცნიერი ყოველთვის იყენებს ისტორიულად მართებულ დანერგობას რუსთაველი. დიახ, ყოველივე ეს გვერდზე გადავდოთ და კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ოქტივარში ჩასმული ჩვილის სიარულივით მოყანყალე ეგ ფრაზა – „რუსთაველთანაც ვხვდებით თხრობას სხვადასხვა საფასურად“.

თუ ამ გამოთქმას საბაზრო ფასს დავადებთ, იგი გაუტოლდება ნულს!

ამ გვერდის დამსახურებაა ისიც, რომ შემოდის ახალი ტერმინი „თხრობითი ტიპები“.

კიდევ ერთ მონაკვეთს გავკრათ კბილი: „ბევრი ჩართული მოთხრობა შემოაქვს ავტორს პოემაში, რომლისთვისაც სხვადასხვა თხრობით საშუალებებს იყენებს და შესაბამისად იცვლება მთხრობელის პირადი პროფილი და დამოკიდებულებები თხრობით ტექსტთან და დანიშნულებასთან“.

ახლა კი, მეგობარო მკითხველო, აღარ გავალებთ ამ უაზრობის რამენაირად გააზრებას, რადგან ასე უაზროდ დავალებას ვერ შემოგკადრებთ, ოღონდ ის მაინც დამიდასტურეთ, რომ ავტორმა საერთოდ არ იცის მშობლიური ენა. ამას მარტო ის კი არ მიგვანიშნებს, ასე მაგრამ რომ გადაჰკიდებია უცხო ტერმინოლოგიას, ისიც, რომ არც სინტაქსი ესმის, არც

– ორთოგრაფია და არც – პუნქტუაცია. ჩემი გამოთვლით, ამ პატარა მონაკვეთში ექვსი მამალი შეცდომაა, რაც არცხვენს არა ოდენ ავტორს, არამედ მის გვერდით დაბეჭდილი სტატიების ავტორებსაც და კრებულის სარედაქციო საბჭოსაც (მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი, ელგუჯა ხინთიბიძე).

შეცოდება I: აღმოჩნდა, რომ რუსთველს მთხრობებიც ჰქონია დაწერილი და ეს ჩვენ არა გვცოდნია. აკი ბრძანებს ავტორი: „ბევრი ჩართული მოთხრობა შემოაქვს ავტორს პოემაში“.

სინამდვილეში უნდა დაეწერა არა მოთხრობა, არამედ – ამბავი. მოთხრობასა და ამბავს შორის იმხელა სხვაობაა, რამხელაც მეტროპოლიტენსა და აქლემს შორის.

შეცოდება II: წერია, ბევრი მოთხრობა შემოაქვსო, მაგრამ სამუხლე სიტყვად იყენებს მხოლოდბოთი რიცხვის ფორმას, რომლისთვისაც, არადა ბევრ მოთხრობას შეესატყვისება კავშირი რომლებისთვისაც.

შეცოდება III: წერია, სხვადასხვა საშუალებებს იყენებო. სხვადასხვა, ბევრი, მრავალი თუა სინტაგმის წინა სიტყვა, მაშინ მეორე იქნება მხოლოდბოთი. მამ, სწორია სხვადასხვა საშუალებას (იხ. V კლასის გრამატიკის სახელმძღვანელო).

შეცოდება IV: წერია (და ყველგან ასე წერია): მთხრობელის. სიტყვა კუმშვადია. უნდა ყოფილიყო მთხრობლის (იხ. V კლასის სახელმძღვანელო, აგრეთვე ორთოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 508).

შეცოდება V: წერია აბსურდი – „მთხრობელის პირადი პროფილი“. პირადი შეიძლება იყოს მონშობა, ბილეთი, მცველი, ოღონდ პროფილი არა! სრულიად საკპარისი იყო, დაეწერათ „მთხრობლის პროფილი“.

შეცოდება VI: სიტყვას დამოკიდებულება არა აქვს მრავლობითი ფორმა. არადა წერია დამოკიდებულებები ტექსტთან. მამ, უნდა იყოს დამოკიდებულება!

შეცოდება VII: ავტორმა არ იცის, რომ დამოკიდებულება მოთხრობს არა – თან, არამედ – დმი თანდებულს. მამ, უნდა წერებუდიყო: დამოკიდებულება თხრობითი ტექსტისა და დანიშნულებისადმი. სამაგიეროდ, — თვის გამოიყენება სიტყვა კავშირთან. მაგალითად, ჩემი კავშირი თხრობით ტექსტსა და დანიშნულებასთან.

აქ კი მე გამიხდა საქმე საბოდიშოდ. ზემორეულე გამოვაცხადე, ამ პანია მონაკვეთში ექვსი მამალი შეცდომა-მეთქი, მაგრამ ჩაძიებული ანალიზისას აღმოჩნდა შვიდი.

ახლა დანარჩენ სახობმარკო ტექსტებსაც გადავხედოთ! სხვას 109-ე გვერდიც რად უნდა ჩამორჩენოდა!

აი, ერთი „შედევი“:

„საკითხავი ტექსტი შეპყრობილია აკვირებული შიშით“.

რაც უფრო ღრმად ვუკვირდებოდი ამ ნარკვევს, მით უფრო დიდი შიში მიპყრობდა. ნამეტნავად მას შემდეგ, რაც ნაერთივე ეს ნაბოდავარი: „ეს სისრულე შობს ნახატს,



რომელიც მის გამოხატვას ისახავს მიზნად და, შესაბამისად, ფერის დამატებას, გაფერადებას ითხოვს: შეიძლება ითქვას, რომ საკითხავი ტექსტი სიცარიელის შიშითაა შეპყრობილი.

ამ გვერდის სხვა „წერილობანი“ სახიზმარიკო ფრაზების მოხმობით დროს ნუ დავკარგავთ, რადგან წინ უფრო სასაცილო მომდევნო ფურცლები გველოდება.

110-ე გვერდი გვაუწყებს: „არსებობს საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ ვაგზნებს. ჩვენ არ უნდა დავაგვიწყდეს, რომ შოთა რუსთაველი სამეფო კარის პოეტი იყო და ექცეოდა კონიექტურის ქვეშ“.

ამას გულუბრყვილობის ისეთი გაბედულებით გვიცხადებს ჩვენი მკვლევარი, გეგონება ლეონიდი ილიჩ ბრეჟნევის ბეჭდით დადასტურებული რამ დოკუმენტი ეჭიროს ხელში და იმას აფრიალებდეს, ხოლო ამ მიგნებით ალტაცებულ-ალტყინებული პროფესორები ბენაშვილი და რატინი მხურვალე ტაშს უკრავდნენ. აქ შენიშვნას იმსახურებს ის, რომ საკითხები ვაგზნებს კი არა, საკითხები ვაგზნებენ. ავტორს წარმოდგენაც არ აქვს გაპიროვნებაზე!

ბუნებრივია, ამგვარი ბუნდოვან-ჩიქორთული მეტყველება უნდა გადაზრდილიყო და კიდევაც გადაიზარდა სქოლასტიკურ სოფიზმში. ასე ემართება ამ ტიპის ყველა „მოაზროვნეს“ და, მაია ბურდიაშვილსაც რომ ეგ მოსვლოდა, რა გასაკვირია?

„მთხრობელი ინსტანცია, რომელიც ამ-

ამავე გვერდზე სქოლასტიკას კიდევ ერთხელ სცა „თავყანი“ ჩვენმა მეცნიერმა: „ფიქრობთ, საკითხის დასმა სხვაგვარად სჯობს, ხომ არ განსაზღვრავს მთხრობელი ინსტანციის როგორც ისტორიული სინამდვილის განფენას მხატვრულ გამოხატვაში“.

მე, ჩემი ცოდნა-გამოცდილების მქონეს, ესოდენ მაღალი ჭეშმარიტების განმარტება არ ძალმიძს. ამიტომ ოდენ პუნქტუაციურ უზუსტობას გამოვასწორებ: სიტყვას „სჯობს“ უნდა მოჰყვეს ორწინილი, ხოლო ფრაზას ბოლოში უნდა ამკობდეს კითხვის ნიშანი (?).

პროფესორ ზ. კიკნაძის ბუფტური დასაბუთება საფუძვლად სარიდან მეფის სახის მკვლევრისებულ ანალიზს: „არ ვიცი სარიდანის რეალური მიზანი, როდესაც ის სამეფოს უერთებს ფარსადანს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარიდანს სამეფო ან ძალით ჩააბარებინეს, ან მართლაც თავისი სურვილით ჩააბარა იმ იმედით, რომ ტარიელს დარჩებოდა ინდოეთის მეფობა“.

ამ სიტყვების ავტორმა არ იცის ბევრი რამ. პირველია ის, რომ ზურაბ კიკნაძის ეგ მოსაზრება სასტიკად გააკრიტიკე და ვუწვი-ნე სარიდანის „რეალური მიზანი“; მეორეა ის, რომ პროფესორებმა ქვაჩახიამ, კიკნაძემ და ორიოდ სხვამაც პოემის ტექსტის უცოდინარობის გამო ვერ გაითვალისწინეს, თუ როდის შეუერთა თავისი „მეშვიდე ინდოეთი“ ტარიელის მამამ ფარსადანის „ექვს ინდოეთს“ – ეს

არ მოეკითხება, მაშინ პასუხს სთხოვენ პატრონს“.

ვეკითხები პატრონს – კრებულის რედაქტორ ივანე ამირხანაშვილს: რატომ დაბეჭდეთ ასე უმნიშვარი, უმსგავსო და ყოველად უტიფარი მასალა ესოდენ მნიშვნელოვან კრებულში? ვთქვათ, ამ ტიპის ნაშრომის დაბეჭდვა გაიძულებს. მაშინ კეთილი რად არ ინებეთ და არ გაასწოროთ? მაქვე დაბეჭდილი თქვენი წერილი ხომ გაჩაღებულ-გამამსმასებელია! მაშ, ენობრივად მაინც გაგეკრათ ჩაღი. ვერც იმას დავიჯერებ, ეგ მახინჯი მასალა რომ ნაგეკითხაო, აშკარა რუსთველოლოგიური ხარვეზები გამოგრჩებოდათ.

დიდი ინტერესით დაველოდები უფალი რედაქტორის პასუხს.

ახლა ორიოდ სიტყვა ვთქვათ სხვა ნაშრომებზეც. ქნი მარიამ კარბელაშვილი, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთობ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. ესაა „ქართული რენესანსის პრობლემა“. მსჯელობა თანამიმდევრულია, საკითხები დასმულია საინტერესოდ და პასუხები გაცემულია გონივრულად. კრებულის მთავარი მასალა სავსებით მართებულია მონოდებულია მენიწავე სტატიად. ამ წერილის სიკეთეთა ჩამოთვლაც კი მთელ გვერდს მოითხოვდა, ხოლო გამოწვევით ანალიზი – ათობით ფურცელს. იმედია, ავტორი თემას ცალკე წიგნადაც გამოსცემს. ამიტომ ვქარობ, ის მექანიკური, ტექნიკური, ენობრივ-სტილისტური ხარვეზები ვამცნო, რაიც შევნიშნე. იმედია, წიგნი მათ აღარ ვი-

ავტორი ცალკეულ სახე-გამონათქვამებს იკვლევს, იხილავს და სწორ დასკვნებს გვათავაზობს, ოღონდ მიუღებელია უკვე კარგად გარკვეული საკითხის ხელახლა კვლევა და აღებუ-ლი სიმალიდან ქვემოთ დაშვება. ეგ კერძო შემთხვევა ეხება ნესტანის ცნობილ ფრაზას:

მე გული შენი ქალადად გულსავე ჩემსა ვაწები.

ამ გამოცანის გარკვევა ყოველად წარმოუდგენელია, თუ არ ვიცით XII-XIII საუკუნეებში ქალაქის დამზადების წესი. იმ წესის გაცნობის შემდეგ დავადგინე ფრაზის შინაარსი; ჩემს გულს შენი გული ქალადადით დავანებე და ორი ნახევარი (პალაიენკა) ერთ არსებად შევკარი. აქედან ერთი ხელის ვანვ-დენაა მეუღლეობის ქრისტიანულ გააზრებაზე: ქალი და კაცი ოდესღაც ერთ არსებას შეადგენდნენ. ღმერთმა ისინი განწავლა, ორ ნახევრად (პალაიენკა) აქცია. ისინი სააქაოში ერთმანეთს დაეჭებნენ და საბოლოოდ მათი შეყრით, ორი ნახევრის ერთ მთლიანობად გარდაქმნით, უნდა დასრულდეს (უფრო დანერვილებით იხილეთ ჩემი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, გვ. 106-110).

სხვათა შორის, ეგ გაგება ჭეშმარიტი ცოლქმრობისა დღესაცაა შემორჩენილი: ქართულ სუფრაზე ქმარს ადღევრძელებენ, როგორც პირველ ნახევარს, ცოლს – როგორც მეორე ნახევარს.

ჩემი სტატია – „შენებებული გულების საიდუმლო ვეფხისტყაოსანში“ – წაიკითხა

ჩვენი ქვეყანა

ბავს მოგვითხრობს, ყოველთვის გარკვეული კუთხიდან აღიქვამს ფიქტურ სამყაროში მომხდარს. ამგვარი აღქმის თავისებურებები განიხილება თხრობის პერსპექტივის წარატოლოგიური კატეგორიის ფარგლებში, – ასე ბრძნულ-თინათინურად ბრძანებს როსტევეანის მიერ დადგმულ სამეფო ტახტზე ნებზე-რად მჯდარი ჩვენი მკვლევარი. მართალია, ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ იგივე ცოდნა გრჩება, რაც მანამდე გქონდა, მაგრამ რა ბედენაა! განა ეს არ არის სქოლასტიკისა და სოფისტიკის მიზანი?

ერთი სიტყვით, „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა!“

ჩემთვის და, ალბათ, მეგობარი მკითხველისთვისაც ერთობ საინტერესო და საინაზო გახლავთ ბოლო გვერდი. 111-ე გვერდის შესახებ, დრო და ადგილი რომ არ მენანებოდეს, შემეძლო ასი გვერდიც კი დამენერა. სულ და გულ, რა შეცდომა, გადაცდომა და სქოლასტიკა გინდა, აქ არ იყო!

ჯერ ფაქტობრივი შეცდომა და პოემის სრული არცოდნა დავადასტუროთ. წერია:

ავთანდილი მიდის უცხო მოყმის „საპოვნე-ლად, რათა შეასრულოს სატროფოსა და ამავე დროს მეფის დავალება“.

მკვლევარმა არ იცის ელემენტარული რამ: ავთანდილი მეფის დავალებით არ წასულა არსად. პირიქით, ის ხელმწიფისაგან ფარულად გაემართა ტარიელის საძებრად. პატრონი რომ არ გაენერვიულებინა, მოატყუა, დააჯერა, რომ თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით მოსაზღვრე ქვეყნების მოვლას აპირებდა და თინათინის სახელით ურჩითა დასჯასა და მორჩილ მოხარაჯეთა გამხნეებას აპირებდა. სინამდვილეში ეგ საქმე შერმადინს შეასრულებინა, ხოლო თვითონ, ფარულად, ისე, რომ ეგ არავინ იცოდა, გაემართა ვეფხისტყაიანის საძებრად.

ერთგან წერია: „სთხოვს მოუყვეს თავისი თავგადასავალი“.

მკვლევარს წარმოდგენაც არ აქვს „უცნაურ“ სამპირიან ზმნაზე მოუყვეს. მან არ იცის, რომ მოქმედების გამოხატველ ამ სიტყვას აქვს ორი ირიბი ობიექტი. მამ, ფრაზა ასე გასწორდება: არა მოუყვეს თავისი თავგადასავალი, არამედ ამგვარად: მოუყვეს თავის თავგადასავალს. მამ, მოუყვეს იგი მას მის და არა მოუყვეს იგი მას იგი.

სხვაგან წერია: რაში დასჭირდა პოეტს... „რაში დასჭირდა“ რუსულის კალკია.

აქედან ცხადდება: მკვლევარმა არ იცის არც ქართული, არც რუსული. ქართული რომ სცოდნოდა, მიხვდებოდა: ქართულია რად დასჭირდა, რატომ დასჭირდა? ხოლო, რუსული რომ სცოდნოდა, მიხვდებოდა: რაში დასჭირდა რუსული კონსტრუქცია, ე.ი. ქართული სიტყვებით აგებულია რუსული ნაგებობა, ანუ „მოყვარე მტერი ყოველი მტრისაგან უფრო მტერია!“

„იმ დროინდელი“ ინერება ერთად, ხოლო გაურკვეველი ეროვნებისა და სქესისაა „ზოგიერთი მათგანი უპირისპირდება კიდევ ერთმანეთს“.

მოხდა ტარიელი ის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, იმ დროს, როცა ტარიელი „დაპროექტებულიც“ კი არ იყო.

ამის თაობაზე მკაცრად მიუთითე პროფ. ზ. კიკნაძესა და სხვათაც (იხ. მ.თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები; ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი; რუსთველოლოგიური კრიტიკა, 1).

ავტორი, რა თქმა უნდა, მკვლევარია და არა მკითხველი. მას რომ ჩემი მითითებული ნაშრომები წაეკითხა, მსგავს სისულელეს ვერ მოასასწაულებდა. ენობრივი აბსურდია: „ის სამეფოს უერთებს ფარსადანს“. ფარსადანს კი არ უერთებს, არამედ — ფარსადანის სამეფოს! ჩვენს მეცნიერს ლიტერატურის დამონებაც არა სცოდნია; მიუთითებს ასე: გამოცემლობა თსუს გამომცემლობა (112); სხვაგან: გამომცემლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რა საჭირო იყო პირველი გამომცემლობა? ახლა მეგობარ მკითხველს ვეკითხები: ამ ელემენტარულ საქმესაც რომ ვერ აწესრიგებს პიროვნება, ის რთულ რუსთველოლოგიურ საკითხებს გადავიწყვეტს?

დასკვნა: დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ნაშრომი ნამდვილად მაია ბურდიაშვილის დანერვილია და მასთან ნესტან სულავას ხელი არა აქვს. ამას გამოცდილებით ვხვდები: როცა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორ გურამ ბენაშვილის რომელიმე სტატიაში ელემენტარულ შეცდომებს ვერ აღმოვაჩენდი, ვიცოდ: იქ ხელი ჰქონდა ჩართული ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკ ნესტან სულავას.

მიხეილ ჯავახიშვილს „არსენა მარაბდელები“ უწერია აფორიზმი: „როცა ძაღლს ჭკუა

ხილავ: „გარდატეხაში გამოვლინდა“ (7) რუსული კალკია, ქართულად იქნება „გარდატეხით გამოვლინდა“; „თვლიდნენ“ (9 და სხვაგან) კი არა, მიიჩნევდნენ; „არისოტელეს“ (12) კი არა, არამედ არისტოტელეს; „სამოსელის“ (12) კი არა, სამოსელს; „ამას-

პროფ. ლეო მენაბდე, ვისაც სხვათა შექება „ნამეტნავად“ არ უყვარდა, მეტადრე – ჩემი, ოღონდ თავი მაინც ვერ შეიკავა და წამოიძახა: „აი, რა საინტერესო რამეები ირკვევა ღრმა ძიებების შემდეგ!“

ლია წერეთელს მოჰყავს სათანადო ტყეპები და ასე მსჯელობს:

„ტანი კალმად მაქვს, კალამი – ნაველსა ამონანები, მე გული შენი ქალადად გულსავე ჩემსა ვაწები.“

სიტყვა „ვანები“ აღნიშნავს არა დაწებებას, არამედ „ჩანობას“ (იგულისხმება სამელნეში, ნესტანის გულში, რომელშიც ნაველია“ (კრებული, 190).

მკვლევარს მიუთითებ: მელანში ჩანება, როგორც ასეთი, უკვე ახსენა რუსთველმა წინა ტაეპში: ნაველსა ამონანები. ამიტომ მეორეჯერ იქვე იმასვე აღარ გამოეორებდა და ტავტოლოგიას არ დაუშვებდა. მამასა-დამე, ვანები ნიშნავს დაწებებას. მართო ეს ერთი არგუმენტიც კი ანგრევს ახალ, თანაც ბუნდოვან, თეორიას; მაგრამ არის უფრო ძლიერი მეორე არგუმენტიც. მკვლევარს შევახსენებ, რომ ძველად და თვით XX საუკუნის დამდეგსაც კი (იხ. პ.აშვილისა და ტ. ტაბიძის ნაწერები) ვითარებითი ბრუნვა გულისხმობდა შედარებას. ასე რომ, ვითარებითი იყო იგივე შედარება. შემომოყვანილ ორ ტაეპში ამისი ორი შემთხვევა მიჯრითა გვაქვს. I ტაეპში რომაა ტანი კალმად მაქვს, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს, ტანი კალამითაა მაქვს; იგივეა მეორე ტაეპშიც: ქალადად იგივეა, რაც ქალადადით. მაშასადამე, მე შენი გული ჩემს ქალადადით დავანებე, ანუ ორი ერთმანეთის მაძებარი ნახევარგული (პალაიენკა), ჩემი წარმოდგენით, ერთერთზე ისე დამინებებია, როგორც ქალაქის მომზადებისა ანებებენ ერთმანეთზე პირველ (ვერსო) და მეორე (რექტო) გვერდებს და ასე გამოჰყავთ ერთი ფურცელი, ერთი მთლიანობა.


ჩემი ახსნა-განმარტება ქნის მოსაზრებას ბევრად სჯობს. ჯერ მარტო ისა რადა ღირს, რომ ქალაქის დამზადების იმდროინდელი წესი გაცხადდა; მეორეც – ტაეპის ბუნდოვნება სრულიად გაქრა; მესამეც – რუსთველის დაუახლოვდა ბიბლიურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, კერძოდ, იმას, რომ ქრისტიანულ ოჯახში პირველ ნახევარს ქმარს ეძახიან, მეორე ნახევარს – ცოლს.

მკვლევარმა, რა თქმა უნდა, არ იცის, რომ იგივე იდეა განუვითარებია ნიშანის. ამის თაობაზე საუბარი შორს წავიყვანდა. ამიტომ მე, ვითარცა კეთილი დამრიგებელი, ქნ მკვლევარს მიუთითებ მისთვის საინტერესო წყაროს – მ. თავდიშვილი, ნიშანი და რუსთველი, 2011, გვ. 5-15.

ასე რომ, მკაფიო მარგალიტს ბუნდოვანი ჩაღის ძირით ვერ ჩავანაცვლებთ.

ისე კი, სადაც სამეცნიერო სამართალია, 2011 წელს გამოცემული ნიგანი 2021 წელს დაწერილი წერილის ავტორმა კი უნდა იცოდეს!

ორიოდ სიტყვა ლია წერეთლის ძირითადად საქმიან ნაშრომზე:



(გაგრძ. დასაწყ. იხ. N10,11,12,1 2022, 1,2,4,5 2023)

პეიზაჟის წერილმანი დეტალიც კი ისეთივე მიმზიდველობით ატყვევებს გონებას, როგორც მიდამოს მთლიანი პანორამა ახდენს შთაბეჭდილებას გრძნობაზე. დასავლეთიდან სამხრეთის მიმართულებით, გარშემო, თვალუწვდენელი სივრცეები შენს ფერხითაა გადაჭიმული. აქა-იქ დაბლობს უნაყოფო შემალელები არღვევს, რომლის კონტურებიც გარემომცველ სილუეტებს ერწყმის.

მინის ზედაპირის ერთიანობას, რომელსაც ზეცასთან მუდმივი კავშირი აცოცხლებს, არ არღვევს ხისა თუ მცენარის ღობე. თუმცა შავი და ყვითელი ნაკვეთებით აჭრულბულა უკიდევანო სივრცე, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ნასვენი და ნაყანვეი მინები, ანდაც სიმინდის ყანები. მინები მეზობელი მთის ფერდობებამდე და სიღრმეებამდე ათვისებულ და კლდეების კიდებამდე აღწევს. თუმცა, ეს ადამიანური კვალი იმ სივრცის უკიდევანობაში იკარგება, რომელშიც არ აისახება ადამიანის არსებობის სხვა ნიშანი. ეულ ტბებს ამ მთების ღრმულებსა და დაბლობის ძირში დაუდიათ ბინა. ღრმა ნაპრალი დასავლეთიდან სამხრეთისაკენ გაჭრილა მინის ქერქში და თითქმის სწორი კუთხით მობართულა ბარის გაყოლებაზე. მას მტკვრისა და თავფარავნის გრეხილი ნაპრალები ქმნის და ვაკე ზედაპირის ერთგვარი ზღვარია დასავლეთით და ჩრდილოეთით.

ტის კამარა მოსჩანს, თუკი მას ღრუბლების მარადიული გვირგვინი არ ფარავს. მასთან შედარებით სამხრეთით მდებარე უახლესი სიმაღლეები უმნიშვნელო მოჩანს და თვალთახედვის არეში წრე იმ წერტილში იკვრება, საიდანაც დაიწყო – სამხრეთ-დასავლეთის ახოვანი ქედებზე.


ნელ-ნელა გაუყვებით ერთმანეთზე დახვეწულ ლოდებთან გზას, გრძელი მთაგრეხილის უკანა მხარეს, რომელიც დასავლეთისაკენ ეშვება, ღრმა ხეობის ჩრდილოეთ მხარის გასწვრივ. დაბლობზე გასულები ნაპრალებს მიუყვებოდნენ, რომელიც ახალქალაქის უჩინარი მდინარის კალაპოტია, სანამ ის ჩამავალი მზის ელვარებაში არ ჩაიკარგა. ცხენები რომ ისევ აგვეყვანა, ცოტა ხნით მომცრო ჭაობის პირას მოგვინია შეჩერება, რომელიც მთის ძირას მდებარეობს, სადაც 4000 ფუტ სიმაღლეზე, უმაღლესი მწვერვალის ქვემოთ, ბაყაყების გუნდის ნაღვლიანმა ხმებმა ღრმა მდუმარება დაარღვია და ბუნების მარტოობა გვაგრძობინა, რამაც შინ დაბრუნების სურვილი გავკვიდნია.

გორაკოვკა და დედოფალი ლუკარია

გვჭობდით რა ჩვენი მომავალი მოგზაურობის გეგმებზე, პოლონევიკმა ტარასოვმა შემახსენა, რომ აუცილებლად უნდა შევეჩერებულყავით რუსი გლეხების ერთ-ერთ სო-

მოდერებმა დაარწმუნეს ისინი, რომ ასეთი თავშესაფარი არც იქნებოდა საჭირო და, შესაძლოა, კასპიის ზღვის სიახლოვესაც კი ეპოვათ.

ღვთიური გაფრთხილების საშინელი ბუნება, რწმენა, რომ ის შესაძლოა ადრევე დამდგარიყო, მიუღებლობა, რომელსაც თავგანისცემის ახლებური ფორმები ინვედენენ



დიტრის აუგუსტ შეინრიხი

რა ხეირი იქნება მისი სახელის გაუმჯობესებლობისგან, თუკი მაინც ვერ შევძლებ მისი ვინაობის დაძაღვას, რადგან მხოლოდ პროვინციული ცხოვრების ახლანდელ მოვლენებთან მაქვს საქმე? სმბათ ბაღდასარიანცის მისია იყო, რომ სხარებისეული მარცვლები დაეთესა ხალხში, რითაც თავის თავისუფლებასა და ცხოვრებასაც საფრთხეში ავდებდა. წარმოშობით სომეხმა სწავლა ევროპაში გააგრძელა, სადაც იგი ფრანკფურტელ მეტოღისტებთან ცხოვრობდა, თუმცა თავად ამ სექტის წევრი არ ყოფილა.

როგორც პროტესტანტმა, მან უარი განაცხადა რომელიმე კონკრეტული კონფესიის მორჩილებაზე. იგი ევანგელურ მქადაგებელთა საზოგადოებას ეკუთვნოდა, რომელიც დაახლოებით სამოცდაათი წლის წინ ბაზელური მისიონერების მიერ დაარსდა შუაში, ყარაბაღის პროვინციის დედაქალაქში.

ზარემა იმ მასწავლებლის სახელია, რომელსაც მისი მიმდევრები მჭიდროდ უკავშირებენ თავიანთი საძმოს წარმოშობასა და ადრეულ ბრძოლას; მასზე ხსოვნა უკავშირდება ასევე მისი კოლეგის – დიტრის² ხსოვნას, რომელიც მასთან ერთად ინანილებდა შრომას. ეს მისიონერები წარმოადგენდნენ გაერთიანებას, რომელთა ბევრიტი მოშურნობა შორეული სპარსეთის მამამდიანებთან იყო დაკავშირებული. კეთილგონიერება კარნახობდათ, რომ რუსეთის ტერიტორიაზე დაფუძნებულიყვნენ; თუმცა რუსული ეკლესია მათთვის მრისხანე მტერი იყო. იგი აცხა-

ჰენრი ლინჩის მოგზაურობა საქართველოში

მტკვრის კანიონს მიღმა, რომელიც რაღაც ოციოდე მილის სიგრძისაა, სამხრეთ-დასავლეთიდან ახოვან და უნაყოფო მთაგრეხილთა რიგი შეუგუფულა. ისინი მიეკუთვნებიან დოლუმ-პუნარის ვულკანურ სისტემას და ჩვენს ზემოთ მდებარე მთელ არეზე ბატონობენ, გარდა კავკასიონის ჯაჭვის ბუნდოვანი სილუეტებისა. დოლუმ-პუნარის ფერდობებიდან, ასევე იმ ფერდობიდან, რომელზეც ჩვენ ვდგავართ, ლავა მათ შორის მდებარე ზედაპირზე გადმოვრეილა და არათანაბარი მინა მოუხსორებია.

ვულკანი დიდი ხანია ჩამქრალია, ლავა – მიძნეული. კვამლის გვირგვინი არ აკრავს ნაცნობ ვულკანურ ფორმებს. ეს მათაა სისტემა ჩრდილოეთით მდებარე კანიონის მიმართულებით დაბლდება, სადაც კიდევს შორის უფსკრული გასასვლელს აძლევს მტკვარს. ჩრდილოეთის მხრიდან სიმაღლეებს გრძელი, დაკბილული ქედი აგრძელებს, რომელიც ჩრდილო სასაზღვრო მთებს მიეკუთვნება და დასავლეთიდან სამხრეთით, აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით ვრცელდება.

ჩრდილოეთიდან ოდნავ დასავლეთით ტაბანყურის ტბა მდებარეობს, რომლის ნაპირებიდან სამხრის წვერია ამოზიდული. ჩრდილოეთით ნინა არე მთის მასებს დაუფარავს, თაღვანი მწვერვალებითა და მომრგვალებული ფერდობებით. ჩვენმა მეგზურმა ვერ გვითხრა მათი სახელები, ამიტომ მე თავად შევეცადე გამეკეთებინა მონახაზი. აბულიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დასავლეთის მიმართულებით, ნახევრადწრიულ კამარაში გრძელი მთაგრეხილი გადაჭიმულია. იგი უახლესი მასების ფორმებს ერწყმის, რომელთაგან ყველაზე გამოჩენილი, ვივირობა, ქოროლის მთა და გოდორები შეიძლება იყოს, აბულ-სამხრის ვულკანური ქედის ნაწილი. თრიალეთის ჯაჭვის გრძელ ბასტიონს ხან უახლესი მთები ფარავს, ხან კი, ალაგ-ალაგ, მცირე მონაკვეთებად, ტბის მიღმა მდებარე სილუეტებად გამოკრება. ჩრდილოეთის შორიზონტი კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებითაა შემოსაზღვრული, რომელიც აქედან ასობით მილითაა დაშორებული.

აღმოსავლეთით არაფრთი მოუხდენია ჩვენზე შთაბეჭდილება მთებს. თუმცა გადაუცქეროდით სამხრეთის ვულკანური სისტემის აღმოსავლეთ ფრთას, რომლის მიღმაც სომხეთის ქედები ამოზიდულიყო. ჩვენს და ამ ბუნდოვან კონტურებს შორის ვრცელი ტბა, თავფარავანი იყო გადაჭიმული, რომელშიც აბულის აღმოსავლეთი ტოტი შეჭრილიყო.

მაგრამ რა არის ის გამომკრთალი თოვლი, რომელიც შორიზონტზე ამოზნექილიყო სამხრეთ-აღმოსავლეთის უთოვლო, თაღვანი მთაგრეხილიდან? მის სწორ, შორიზონტალურ სილუეტებს შუაში თოვლით შემოსილი მწვერვალების დაბალი გრეხილები არღვევს. ეს ალაგოზია, რომელიც პირდაპირი მანძილით სამოცდაათი მილის დაშორებით მდებარეობს; ამბობენ, რომ აქედან არარა-

ფელში, რომელიც სამხრეთით, ჩვენს გზაზე მდებარეობდა. მასობის უფროსმა იმდენად გვიქო ამ სოფლის მცხოვრებნი, რომ ყველანი დიდად მონადინებულნი ვიყავით, ამ რჩევას დავეყოლოდით. რა იქნებოდა, რომ ეს ნაყოფიერი მხარე ასეთი გლეხობით ყოფილიყო დასახლებული; რა მოსალოადი მოინდვენენ, რა ხვავს და ბარაკას შექმნიდნენ! თან დაუმატა: „უცილობლად ესტუმრე გორელოვკას; იქ იხილავ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ რუს კოლონისტებს“.

რუსი კოლონისტები! მისი აზიური იმპერიის ამ შორეულ პროვინციებს რაოდენაც ახალი მეთოდები და ახალი სისხლი არ უნდა სჭირდებოდეს, რასაკვირველია, რუსეთი ჯერ კიდევ არაა ისეთ მდგომარეობაში, რომ კოლონიზაციას მიჰყოს ხელი. მართლაც, რუსეთის მმართველებმა ადრევე გააცნობიერეს, რომ კავკასიონს მიღმა თავიანთ უკანონო სამფლობელოებში დასავლური ყაიდის დისციპლინა და ქმედითი ელემენტები შემოეტანათ. ქვეყნის შუგით, ამ მიზნით გამოსადევი რესურსების უკმარისობის გამო კი, მათ, ასეთი კოლონიები საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანეს და ნაახალისეს.

შესაძლოა განგებამ უჩვენა კიდევ მათ ეს გზა; ერთი რამ ამკარაა, რომ, როდესაც ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცათ, ხელიდან არ გაუშვიათ იგი. ამ საუკუნის დასაწყისში ვიურტემბერგის სამეფო პროტესტანტული თემის ბრძოლის მოედნად იქცა. ამ ბრძოლის წარმოშობის მიზეზები მის უცნაურ შედეგებზე არანაკლებ უცნაური იყო.

რამდენიმე ცნობილმა მოძღვარმა საზეიმოდ განაცხადა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა მოახლოვდა. და მართლაც, იმდენად დიდი იყო ამ ფრიად პატივცემული მქადაგებლების თვითრწმენა თავიანთ წინასწარმეტყველურ ძალებში, რომ მათ თარიღად დაადგინეს ის დრო, როდესაც მზე და მთვარე დაბნელებოდა, ციური სხეულები შეტორტმანდებოდა, ოკეანე გამძვინვარებოდა და ადამიანებს შიშისაგან სული ამოხდებოდა, სანამ ეს დიდი მოვლენით არ დაგვირგვინებოდა – როცა ქე კაცისა ღრუბლებში გამოჩნდებოდა თავისი ბრწყინვალეობით. ეს ნიშნები და ბრწყინვალე სასწაული ტანჯულ ქვეყნიერებას 1836 წელს უნდა მოვლენოდა.

ხალხში დიდ რწმენას აღძრავდა ეს საშინელი წინასწარმეტყველება, იმ მიზეზთა გამო, რაც მათ ვინრო მინაგან სამყაროში ხდებოდა. სასულიერო პირებში განხეთქილება არსებობდა რელიგიურ საკითხზე, რომელიც იზრახავდა, რომ ხალხის გონებაზე დაუყოვნებლივ ემოქმედათ. გავლენიანმა მხარემ მოახერხა, რომ მათი საყვარელი ეკლესიის ლოცვები და საგლობლები შეეცვალა. გაჩაღებული ვნებები დევნის მომასწავებელი იყო, რომელსაც მორწმუნეები ძველი ფორმების დასაცავად შეეკრიბა.

განა ეს განსაცდელის დღეები მათ თავს არ იყო უკვე? და რომელ მთებში უნდა ეხილათ ამ ქრისტიანებს თავშესაფარი, რომელიც ქრისტეს მიერ იყო აღთქმული? ამავე

მათ წრფელ სულში – ეს ყველაფერი უფრო ამტკიცებდა ძველ პროტესტანტულ სიმამაცეს და უბიძგებდა ადამიანთა დიდ ნაწილს, რომ უკან მოეტოვებინათ თავიანთი სახლი, მშობლიური მიწა და ზედმეტი წინასწარგანჭვრეტის გარეშე შესდგომოდნენ სახიფათო მოგზაურობას იმ შორეულ ქვეყანაში, სადაც მათ შეეძლებოდათ სიმშვიდითა და სულიერი კმაყოფილებით დალოდებოდნენ ადამიანთა მოდგმის მხსნელის დიდებით შემოსვლას.

მათი რიგები – აი ასეთია ჩვენი ერთობ რთული საზოგადოების ირონია – იმათგან შეივსო, ვინც ცვლილებებსა და თავგადასავლებს ეძიებდა. როდესაც მათ ვიურტემბერგი დატოვეს, თითქმის 1500 ოჯახი იყო. როგორც ამბობენ მათგან ორი მესამედი ოდესში მისვლამდე დაიხოცა მათი რიგები კი თანამემამულეთა ახალი ნაწილით შეივსო, – დაახლოებით 100 ოჯახით.

იმპერატორ ალექსანდრე პირველის სახით მათ მეგობარი ჰპოვეს, რომელმაც ამ ხალხს ფართო პრივილეგიები მიანიჭა, როცა ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ 1817 წელს. თბილისისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში ისინი რამდენიმე კოლონიად დასახლდნენ, რომლებმაც დღემდე მოატანეს და უამრავი უბედურებისა და სიმძიმის გადატანა მოუხდათ; ზოგი მათგანი ნადირმა იმსხვერპლა, ზოგი კი სპარსეთის ომისას დაატყვევეს.

მიუხედავად ამისა, მათი რიცხვი გაიზარდა, ცხოვრების დონე შეინარჩუნეს და ამჟამად მოგზაურები სიამოვნებით ისვენებენ მათ სოფლებში. ესაა მხოლოდ, არც მათი გადმოსახლების სანუკვარი მიწნაფება და არც ალექსანდრეს ფართო მიზნები არ ამხდარა ამ დრომდე. რუსული ეკლესიური სახელმწიფოს შურვილმა კი ხელი შეუშალა, მეტი სარგებელი რომ მოეტანათ. და კაცთა მოდგმა კვლავ ცრუ წარმოდგენების შვიი ღრუბლების ქვეშ მიიკვლევს გზას, რომელსაც ძლივს არღვევს ძვირფასი აღთქმის დიდებული ნათელი.¹

ამ გერმანული დასახლებების ბედ-იბალი ახალქალაქში ყოფნისას არა მხოლოდ რუსული კოლონიური ექსპერიმენტის ხსენებისას მომავონდა, არამედ ერთ საცოდავადამიანთან საუბრისას, რომლის ისტორიაც ამ მამაცი თემის ადრეულ ხანასთან იყო დაკავშირებული.

დებდა, რომ მხოლოდ მას ჰქონდა საკუთარ ერთობაში მონათელისა და ქრისტიანულ რწმენაზე მოქცევის ერთადერთი უფლება. თუმცა, გამონაკლისი იქნა დაშვებული იმ ერეტიკოს ქრისტიანულ თემთა სასარგებლოდ, რომელთა მიმართაც რუსული სახელმწიფო შემწეწარებული იყო. მაშინდანი თავის ნებადართული იყო, რომ მათგან რომელიმეს მრწამსზე მოქცეულიყვნენ და ამ სექტის წევრად ჩაენრილიყვნენ.

ამგვარად, ბაზელის საზოგადოებას გული მიეცა, რომ შეეძლებოდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ კოლონია დაეარსებინა, რომელიც რუსეთის მთავრობისაგან სპეციალურ ნესდებს მიიღებდა და ამით მთავრობისგან შეწყნარებული იქნებოდა. ასეთი კოლონიის შეგალითი უკვე არსებობდა შოტლანდიური საძმოს სახით, რომელიც კავკასიის მთის მოსახლეობაში მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა და ამჟამად კარასში დაედოთ ბინა. ამ მიზნის მისაღწევად ზარემმა და დიტრისი სანქტ-პეტერბურგს მიავლინეს 1821 წელს.

ისინი იმავე ალექსანდრემ მიიღო, ვინც გერმანელებს მფარველობდა იმ სულისკვეთებით, რომელიც მათ მოშოვნობას პასუხობდა. ლიბერალური დებულებანი დაერთო მათი მომავალი კოლონიის ნესდებს, რომელთა შორის მოქცეულთა მონათელის უფლებაც შედიოდა. შემდგომში მათ ნება მიეცათ დაეარსებინათ სტამბა, გაეხსნათ დაწეებითი სკოლები და მოეწყოთ გიმნარია უმაღლესი განათლების მისაღებად. ამასობაში მათ შესთავაზეს, რომ იმიერკავკასიაში ემოგზაურათ, რათა მათი სამომავლო საცხოვრებელი ადგილი შეერჩიათ.

როდესაც 1823 წლის გაზაფხულზე მისიონერები საქართველოში შემოვიდნენ, მათ ინტერესი მიაპყრეს გერმანულ კოლონისტებს – ერთმორწმუნეებს, თითქმის თავიანთ თანამემამულეებს, რომელნიც ამ შორეულ ქვეყანაში სულიერი წინამძერობის, საეკლესიო წყობის საფუძვლების გარეშე დაფუძნებულიყვნენ. განა ვის უნდა ჰქონოდა მეტი უფლება მისიონერებისგან დახმარება მიეღო, ვინც მწყემსის გარეშე დარჩენილ სამწყსოს, რომელიც თავის კერას მოშორებოდა და ბედს მინდობოდა. პირველი ზაფხული მათ ამ ძმებზე მეურვეობას მონადომეს, რომელთა შორისაც წმინდა ამქვეყნიურმა საზრუნავმა უწინდელი გულმოდგინება შეასუსტა.

მათმა წარმატებულმა ძალისხმევამ, როგორც

¹ ელი სითის თანახმად (Missionary Researches in Armenia, ლონდონი 1834, გვ. 195), რომელსაც ეს ჩემი ანგარიში ეფუძნება, 1830 წლისათვის გერმანული კოლონისტების საერთო რაოდენობა 2000 სული იყო. მათი ამჟამინდელი რიცხოვნობა შესაძლოა დადგინდეს 1886 წელს გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით. აი ამგვარი იყო მათი რიცხვი სხვადასხვა კოლონიაში: თბილისის გუბერნია ქალაქი თბილისი - 1117, თბილისის ადმინისტრაციული ერთეული (მაზრა): ალექსანდრესდორფი - 384, მარიენფელდი - 396, პეტერსდორფი - 195, ფრიდენთალი - 83, ელიზაბეთთალი - 1148. ბორჩალოს მაზრა: ეკატერინენფელდი - 1209, ალექსანდრესპოლი - 366. სხვა ადგილები - 60. მთლიანად თბილისის გუბერნიაში - 4958, ელიზაბეთთალოს გუბერნიაში: პეტერსდორფი - 1457, ანენფელდი - 437. სულ - 1894, ერთიანობაში კი 6852 სული.

² აუგუსტ შეინრიხი დიტრისი – გერმანელი საეკლესიო მისიონერი და პასტორი. 1821 წელს იგი ხელდასმულ იქნა ბაზელში და სანქტ-პეტერბურგის გავლით ასტრახანში გაემგზავრა. იქ მან მისიონერული მოღვაწეობა დაიწყო გრავ ფელიციან მარტინ ფონ ზარემბასთან ერთად. მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ ებრაელებსა და მუსლიმებს შორის, ხოლო 1822 წლიდან, თუმცა კი შეზღუდვებით. ასევე კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმებში, რუსეთის სომხურ რეგიონებში. საქართველოში დასახლებულ გერმანელ კოლონისტებში აუგუსტ დიტრისი პირველი მქადაგებელი იყო.

გილოცვა

ვლადიმერ ველიკანაშვილი - 80



დიდებული პოეტო და ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარო, ბატონო ვლადიმერ! წლებმა ისე გაირბინეს, - 80 წელს მოგყარა ღმერთმა, მაგრამ გულით, სულით, მხნეობით, ჭკუა-გონებით, ისევ ის ვლადიმერი (ვალიკო) ველიკანაშვილი ხართ, როგორც გვახსოვხარ დიდი ხნის წინ, როდესაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა თქვენი ლამაზი ქართული დაწერილი, პოეტური მარგალიტები, რომელიც მაშინვე აიტაცა და შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. შენ, ჩვენი ვალიკო, ის ერთ-ერთი მესხი პოეტთაგანი ხარ, ვის იმედად ჩვენმა გაზეთმა დაიწყო ფუნქციონირება, რამეთუ იმხანად, ჩვენი მხარე, მართლაც არ იყო განვითარებული პოეტების სიმრავლით.

25 წელია სისტემატურად იბეჭდება თქვენი ლექსები როგორც „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე, ასევე ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში. თქვენი ლექსები შესულია სხვადასხვა პოეტურ კრებულებში, ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, ხართ რამდენიმე წიგნის ავტორი და ეს გვახარებს შენს თანამოკალმეებსა და ერთგულ მეგობრებს. თქვენი ნიჭის გამარჯვება ისიც იყო, რომ რამდენჯერმე გახდით „შოთაობის“ პრემიის ლაურეატი. ჩვენი ვალიკო, როგორც დიდებული პოეტი, ასევე ჭეშმარიტი აღმზრდელი ხართ მომავალი თაობების, რამეთუ თქვენ მთელი ცოდნა და ენერჯია პედაგოგის რთულსა და საპატიო საქმეს შეაღიეთ და, მიუხედავად


ხანდაზმულობისა, დღესაც ერთგულად ემსახურებით თქვენს სათაყვანებელ პროფესიას. დღესაც ადვილების მუნციპალიტეტის სოფელ ფხეროს საჯარო სკოლის მთელი პედაგოგიური, აღსაზრდელები, თანასოფლელები, დიდ სიყვარულს გამოხატავენ თქვენს მიმართ, - რამდენიმე ათეული წელი ბედმა რომ გარგუნათ ამ სკოლის დირექტორი ყოფილყავით და თქვენი კვალი დაგემჩნიათ ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმისთვის. გლოცავთ, გვეიმედებთ, ჩვენი დიდებული მეგობარო და გვჯერა, თქვენი კალამი კიდევ დიდხანს გაუწევს ერთგულ სამსახურს ქართულ მწერლობას. გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

ჩანს, გამოაფხიზლა სანქტ-პეტერბურგის ევანგელისტურ-ლუთერანული კონსისტორია, რომელთაც ერთმორწმუნეების სულიერი ინტერესები აბარიათ რუსული სამართლით. კონსისტორიამ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი მოძღვარი გამოგზავნა და კოლონიტები მათ ხელში აღმოჩნდნენ. მაგრამ მამაც გერმანელებს თავიანთ ქვეყანაში იმისთვის როდი უბრძოლიათ საეკლესიო მმართველობასთან, რომ ამ ახალ აღაგას მსგავს ტირანიას დაპირიქილებოდნენ. მათ უარი თქვეს კონსისტორიასთან ყოველგვარ კავშირზე და არ მიიღეს მათი წარმომადგენელი. დავა იმპერატორ ალექსანდრეს გადაეცა და მისი ჩვეული გამჭრიახობით გადაწყდა. იგი დასთანხმდა, რომ პასტორები ბაზელის საზოგადოებას გამოეგზავნა, თან, ისე შორსაც წაი-

ცა ოპერაციების განსახორციელებლად, ისე, რომ სპარსეთის მიწების გადაკვეთა არ დასჭირვებიათ. ზარებმა პარკევიჩის ჯარების კვალს მიჰყვებოდა, ავრცელებდა საღმრთო წერილს, რომელიც ჯეროვნად იყო ნათარგმნი თურქულად და ლაღადებდა ქრისტიანობის მარადიულ ჭეშმარიტებასა და ისლამის ცრუ წარმოდგენებზე. მაგრამ მისი წიგნები ხალხმა ნაფლეთებად აქცია, რომელთაც ქრისტიანების სიძულვილი დედის რძესთან ერთად შეეთვისებინათ. არ ვიცი, დაუხვდა თუ არა მას წინ ის მაღლი, რომელიც თავის დროზე ქვაზე ჰქონდა დადებული. სამაგიეროს ალბათ უფრო იმ ძალისხმევებს შედეგად უნდა მიელოდეს, რაც მან სომხებში გასწია. სომხების სასულიერო პირები, აღმოჩნდა, რომ უმცირესი მორევენი ჩაძირულიყვნენ, სადაც მათთვის ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისი იყო.

დაბრუნება თავიანთ წიაღში. ისეთი პირი უჩანდა, რომ მათი სკოლებისა და რელიგიური სწავლების წინსვლასთან ერთად ასეთი რამ მალე მოხდებოდა. ეჭვგარეშად, სომხური ეკლესიის უმაღლესი სათნოება და წესია სხვა ქრისტიანული ეკლესიების რელიგიური პრინციპებისადმი პატივისცემა, ამასთან, თავის კონგრეგაციაში სხვადასხვა მრწამსის ძმების სწავლები-

თან იჩივლეს, რომელმაც რომელი პროკონსულის სულისკვეთებით იკითხა, თუ რა მიზეზით ერეოდნენ ისინი სომხური ეკლესიის საქმეებში. და, გერმანელები დარწმუნდნენ გერმანელებად და სომხები სომხებად - ასე შეცვალა განჩინება იმპერიულმა მთავრობამ, რომელსაც საქმე განსახილველად ამ დიდმა ჩინონიგმა გადასცა. გადაწყდა, უმთავრესად კი რელიგიური თემების დიდი



ეკატერინეფელდი. გერმანელები

სადმი ფართო შემწყნარებლობის დანერგვა. ამ მხრივ იმ პატივცემულმა მოგზაურმა, რომელთანაც ვალში ვარ ამ პატარა ისტორიისათვის, შესაძლოა ისწავლა, მაგრამ ვერ დაისწავლა ღირებული გაკვეთილი სასულიერო პირთაგან, რომელთა ზოგად ნორმებსაც იგი სამართლიანად გმობს.³ მაგრამ, ამ მუამბოზე მისიონერების დამოკიდებულებამ მათ წარმატებულ ძალისხმევაზე ნაკლებად როდი იმოქმედა სომხური იერარქიის პატივმოყვარეობაზე. მათი მრწამსის ორმა დიაკონმა შვეიცარიელ მასწავლებლებთან დაამყარა კავშირი, ისე რომ ოფიციალურად არ დაუტოვებიათ თავიანთი ეკლესია. მათ ბრალი დასდეს, რომ ძველი რელიგიური წესების სანინააღმდეგოდ ხალხზე ახდენდნენ გავლენას და, ძველი ჩვეულებებისამებრ, კათალიკოსს დაუდგენია, რომ ისინი შეეპყროთ და ეჩმიადინში გაეგზავნათ. მისიონერებმა გენერალ-გუბერნატორ-

შემფოთების გამო, რომ, თუკი კაცს გადაწყვეტილი ჰქონდა დაეტოვებინა სომხური ეკლესიის წიაღი, სასულიერო პირებს უფლება არ ჰქონდათ ძალით შეეკავებინათ იგი. თუმცა, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ეს შემრიგებლური განწყობა რუსულ მეთოდებზე უფრო დახვეწილი იყო. მისიონერთა გამარჯვება დიდხანს არ გაგრძელდებოდა; მტრის სიმრავლე მათი მცირე მოკეთის ძალას აღემატებოდა. მათი ბეჭდური პრესა კარგა ხანია დუმს; გარდა რამდენიმე სომხი მქადაგებლისა, რომე ლნიც ძველი ტრადიციების ერთგული არიან და რომელთაგან ერთი ჩვენი მეგობარი იყო ახალქალაქიდან, ისინი უმემკვიდრეოდ არიან დარჩენილნი. თავად მას მთავრობამ აუკრძალა, რომ ამ შორეული ციხისმიმდგომი საზღვრებს გასცდენოდა; ორი წელი მან თითქმის ასეთი სახის ტყვეობაში გაატარა; ამის შემდეგ კიდევ სამი წელი მიუსაჯეს. საარსებო წყაროს იგი ქსოვილების მაღაზიაში საქმის მწარმოებლად და თანამემნედ მუშაობით შოულობდა. თავად შუშაში, თუკი ოფიციალურ სტატისტიკას ვენდობი, 1886 წლისათვის სომეხ პროტესტანტთა საზოგადოება 26 სულს არ აღემატებოდა.⁴

და, რომ მათ ეკლესიებს თავადაც კი შესწირა თანხა. როდესაც შემდეგში მისიონერებმა გადამწყვიტეს, რომ ყურადღება თავიანთი პირვანდელი განზრახვისთვის დაეთმოთ, ისინი სხვადასხვა სახის სირთულეებს წააწყდნენ. მათდა გასაოცრად, ამერკავკასიის გენერალ-გუბერნატორმა აცნობა, რომ გუბერნიას არ გააჩნდა მიწები სპარსეთის საზღვართან, სადაც მათი კოლონიებისთვის შეიძლება გამოეყოთ ადგილი. თავად მისიონერების შესაძლოა გამოეძებნათ შენობა ნებისმიერ ქალაქში, რომელსაც კი ისინი აირჩევდნენ; და, მიუხედავად იმისა, რომ კანონით მათ არ ექნებოდათ მინიჭებული მორწმუნეთა მოქცევა, გუბერნატორი გამოიყენებდა თავის გავლენას მათ დასაცავად, თუკი მათი ძალისხმევა ნაყოფს გამოიღებდა. თავიანთი მისიის დასაფუძნებლად მათ შუშა შეარჩიეს; გაიხსნა სკოლები, მოეწყო სტამბა. მაგრამ ინდოეთის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებში მაჰმადიანობიდან ქრისტიანობაზე მოქცევა ერთობ საძნელო და უმადური საქმე იყო. ჩვენი ინგლისელი მისიონერები, რომლებიც სპარსეთში დამკვიდრდნენ, მეტისმეტე ალტკინებს განიცდიან, თუკი ერთ გზააბნეულ მუსლიმს მაინც მოაქცევენ თავიანთ სარწმუნოებაზე. მახსოვს, სპარსეთში ვმოგზაურობდი ერთ-ერთ ასეთ ადამიანთან ერთად, რომელიც, მომეჩვენა, რომ ფრიად მომზადებულიყო ნაადრევი სულის წარწყმედისთვის იმ გარემოცვაში, სადაც ცხოვრების გზის გავლა უნებდა. შუშის მისიონერებმა გაბედულად გაართვეს თავი ცდას. თუმცა, მათი დაფუძნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთის დაპყრობითმა ომებმა მათ ფართო ასპარეზი მის-

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია. 1893-1897



მაგრამ, თავიანთი საქმიანობის შესასრულებლად ისინი ასეთ გარემოებას არ მოელოდნენ; ამასთან, რახან სპეციალური უფლებამოსილება არ გააჩნდათ, არ შეეძლოთ, თავის სარწმუნოებაზე მოქცევათ სხვა აღმსარებლობის ადამიანები. პროზელიტიზმი შესაძლებელი იყო, თუკი ეს რუსულ ეკლესიაში შესვლას გულისხმობდა. მაგრამ, თუკი მორწმუნე ისურვებდა, რომ ის იმ სექტის მღვდელს მოენათლა, რომლის მიმართაც რუსეთი შემწყნარებლობას იჩენდა, მისი უწინდელი სარწმუნოების სასულიერო პირებს შეეძლოთ მოეთხოვათ განდგომილის ნაწერებში.

ვლი სმითი, რომელიც საუბრობს რომის კათოლიკურ მისიებზე, არ ურიდება, რომ ამგვარად აღწეროს ყოველივე: „სავალალოა, რომ მისიონერმა, სადაც არ უნდა დაადგას ფეხი (ხმელთაშუა ზღვის სანაპირო), ყველგან გადაეყრება „მეძაფეთა და დედა-მინის სიბილხეთა დედის“ (იგულისხმება ბაბილონი - მთარგმნელი) გუშავს, რომელიც მზადაა მის გამოსანვევად და განვამის ასატეხად / მზადაა, რომ იგი გამოიწვიოს და განვაში ასტეხოს (ციტირებული ნაშრომი, გვ. 210). კითხვის დროს, სხვათა შორის, შევავაროვე პარალელური ფრაგმენტები სხვა მწერლების ნაწერებიდან, რომლებიც სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ, და, სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ ბილნი ენით გამოცემულ მსგავს საძაგელ აზრებს ძნელად თუ იპოვი საერო ავტორების ნაწერებში.“

³ ელი სმითი, რომელიც საუბრობს რომის კათოლიკურ მისიებზე, არ ურიდება, რომ ამგვარად აღწეროს ყოველივე: „სავალალოა, რომ მისიონერმა, სადაც არ უნდა დაადგას ფეხი (ხმელთაშუა ზღვის სანაპირო), ყველგან გადაეყრება „მეძაფეთა და დედა-მინის სიბილხეთა დედის“ (იგულისხმება ბაბილონი - მთარგმნელი) გუშავს, რომელიც მზადაა მის გამოსანვევად და განვამის ასატეხად / მზადაა, რომ იგი გამოიწვიოს და განვაში ასტეხოს (ციტირებული ნაშრომი, გვ. 210). კითხვის დროს, სხვათა შორის, შევავაროვე პარალელური ფრაგმენტები სხვა მწერლების ნაწერებიდან, რომლებიც სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ, და, სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ ბილნი ენით გამოცემულ მსგავს საძაგელ აზრებს ძნელად თუ იპოვი საერო ავტორების ნაწერებში.“

⁴ ბაქოს სომეხ ლუთერანთა რიცხვი 1886 წლისათვის 350 სულს ითვლიდა (ოფიციალური მონაცემები და ა.შ.). სმბათის თანახმად პროტესტანტული თემი არის ასევე შემახაში, ერევანში და მის სამეზობლოში, ყარსის მახლობლად ყარაკალამი და თბილისში.

⁵ Müller-Simonis, Du Caucase au Golfe Persique, პარიზი, 1892, გვ. 3

⁶ Letter of the Rev. Athelstan Riley to Daily Chronicle of London, აგვისტოს ნომერი, 1897.

მატიანე



ბერიკაშა სოფ. არალში. XX ს-ის 70-იანი წლები. სურათი მოგვანოდა ლია ჩილინგარაშვილმა

ფოკლორი

გამოგედვენ თათარო, ბიჭი ვარ მონადირეო, ეგებ, ვერც მოგწვდე, ოხერო, ბოლი ვერ აგადინეო. ვერ გადაგჩეხე ლელეში, ვერც ხმალი დაგაბჯინეო, რა ვუთხრა სოფელ-ქვეყანას, ვერავინ გავაცინეო.

ფრანგულს ჰკოცინდა ვაჟკაცი – თათრები ვყლიტე ამითა, აივსო მათა ფერდები ურჯულეების ძვლებითა. ყორნებს ნისკარტი დააცვდათ, თათრების ლემის გლეჯითა.

ვაჟკაცმა ხმალი ალესა, უსინჯა პირი ქვაზედა, მერმე შეილიშვილს მიუძღვნა – არ მოიცილო ტანზედა.

სათათრეთს სალაშქროდ მივალ, გმორდები ჩემო ოჯახო, უფალმა მიყოს წყალობა, – გამარჯვებული გენახოთ.

ჩემნაირი უპოვარი დუნიაზე სად არს კაცი? ბედ-იღბალი ყველას წყალობს, გამრჯელია თუ ზარმაცი. რა ვიცოდი ბედის ნაცვლად თუ ბოროტი მომელოდა, სიღატაკე და შიმშილი, ოდითგანვე მერგებოდა.

უფლის წყალობა გვებოძა, ყველასა გვეყავს ძროხა, ხარი, აპოხტი და ჭვავის პური, ნიფლის შემა და ბუხარი.

თოფი გავარდა თუთაჯვარს, ორლელეს, ფიჭვის ტყეშია, დაგორდენ ურჯულეები, უფსკრულეებსა და ხეშემა.

– ნეტავ, ვინ იყო მეთოფე, მთაზე დგას მალა წვერშია, მგონი, რო ჩვენებურია, თოფი უჭირამს ხელშია.

უსინდისოა სიკვდილი, ვერ წვდება კაცთა გონება, ბერიკაცს გვერდით ჩაუფლის, ჭაბუკი მოეწონება.

ბოროტი მისდევს თავის წესს, აზრი აქვს ტალახიანი, იმ კაცს ოჯახი კარგი აქვს, თუკი იქნება ფხიანი.

ხვატი ჩამოდა ავეისტოს, გადაიბრანა მთა-ბარი, სეტყვა არ გვინდა, უფალო, დაგვაცქევს დიდნაღვარი, მარცვლეულს გავვინადგურებს, ყოფა გვექნება სხვაგვარი.

მთქმელი იოსებ ბიძოშვილი, 89 წლის, ქ. ახალციხე, ივლიტა. ჩაინერა სოსო ბიძოშვილმა 2023 წლის ივნისში

წერილი ახალქალაქის მახრიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქ. ახალციხე ღრმა ძილით იყო მოცული. ორ-სამ სასტუმროში დავარაკუნეთ და რის ვაი-ვაგალხით გავაღებინეთ კარი, მაგრამ ვაი ამ გაღებას, ზოგან ერთი ნომერი აღმოჩნდა თავისუფალი, ზოგან ორი, ჩვენ-კი ბევრი ვიყავით. მეტი ჯერი არ იყო, ძალა-უნებურად იძულებული ვიქმენით მოგვემართა მახრის უფროსის ა.დ. პოდგორსკისთვის, რომელმაც სიამოვნებით დაგვითმო თავის სახლი. აქ მოვიბრუნეთ ცოტა სული და გაყინული ხელ-ფეხი გავითბეთ. ხელ-ფეხს ვილა ჩიოდა, ცხვირმა წაიღო ძალა. სხეულის ყველა ასოს ასე თუ ისე უშველიდი თბილი ტანსაცმლით, მაგრამ ცხვირს რას უზამ? ამასაც ხომ ვერ დაჰმალავ; თუ ასე მოიქეცი, თხუნელასავით გაიგუდები.

ახალციხიდან გუბერნატორმა გამოუგზავნა ტფილისს, მთავარმართებელს პირველი დეპუტატი, სადაც ატყობინებდა ახალციხის მოსული ცნობების მიხედვით, რომ 600 სული ადამიანი დაღუპულა მიწის-ძვრისაგან. რამდენი სული საქონელი დაიღუპა, ან რაოდენია რიცხვი უბინაოდ დარჩენილთა, ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

გუბერნატორის დეპუტატმა დიდი მღელვარება გამოიწვია ტფილისში. ამ დღიდან დაწყებული დღევანდლამდე უხვად მოდიოდა შემონიშნულობა. პირველი უხვი შემონიშნულობა დაზარალებულთათვის გაიღო თვით მთავარმართებელმა, რომელმაც გამოუგზავნა გუბერნატორს 3,000 მანეთი.

ათის საათის დასაწყისზედ გაუდევით გზას. 66 ვერსიანი მანძილი გავიბრინეთ სულ რაღაც 4-5 საათში. მარხილები საათში თითქმის 15 ვერსს მისცურავდა. გზად კითხვა-ძიებაში რომ არ ვყოფილიყავით, 2-3 საათზედ ვიქნებოდით ქ. ახალქალაქს. ახალციხიდან თან წამოიყვანა გუბერნატორმა მახრის უფროსი პოდგორსკი, რადგან ახალქალაქის მახრში შემთხვევით მხოლოდ მახრის უფროსი ლ.კ. ზეგერმანი იყო და ერთიც ბოქსული ი.ფალავა. დანარჩენი მოხელენი ან ჯერ არ იყვნენ დანიშნულნი, ან ვინც იყო უკვე დანიშნული, ჯერ არ მისულიყო თავის ადგილას.

ვინც ახალქალაქის მახრის მდებარეობა იცის, გაუკვირდება, ასე შორს რად მოუარეს ბარალეთს მისასვლელად. ბორჯომიდან ბაკურიანის გზით ბარალეთი მეტის-მეტად ახლოა, მაგრამ ამ გზით ბარალეთს გადასვლა შეუძლებელი იყო თოვლის ზვინების წყალობით. გზა ისე შეერულიყო, რომ არც ფეხით, არც მარხილით და არც ცხენით არ შეიძლებოდა იქ მისვლა.

გზაში ყველგანა ვხვდებით მიწის ძვრის ნაენეებს. შარა გზაზედ სამუშაოს გამონეულ მუშათა ქვეთკირის სი??ურები დახეთქილიყო, ეტყობოდა მიწის-ძვრას აქეთაც ღონივრად მოექნა თავისი შემუშურავი ლახტი ხერთვისიდან მოკიდებული ახალქალაქამდე უშველებელი ლოდებიც ჩამოცვივნილიყო, რომელთაც დიდის გაჭირვებით გზას უხვევდა ჩვენი გაჩქარებული მარხილები. დიდად დაზარალებულიყო აგრეთვე ხერთვისის ქვეთკირის სკოლის შენობა. არ ვიცი, ბედია თუ ღვთის განგება, ეს კია, რომ ხერთვისის ძველი დიდებული ციხე, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს მტკვრისა და ახალქალაქის წყლის ხეობებს, უვნებლივ დარჩენილა, ერთი ქვაც არ ჩამოსცლია ამ ძველის საქართველოს ერთ-ერთს დარაჯს.

ხუთი საათი იქნებოდა, ახალქალაქს რომ მივედით. სიცივე სწორედ ჯავახური იდგა, 15-20 გრადუსი იქნებოდა, მაგრამ ქუჩები მაინც ხალხით იყო სავსე. დაინახეს თუ არა გუბერნატორის მარხილი, ხალხმა დიდის მოწინებით მოუხადა ქუდი და შესაფერი საღამო მისცა. ბინა გაგვიჩინეს აქ სამაზრო სამმართველოში. აქ გუბერნატორის წინაშე წარსდგენ მახრის

უფროსის მეუღლე ნატალია სილვანის ასული ზისერმანი, ქალაქის მამასახლისი არშაკ გრიგორიანი, ნავაგინის პოლკის უფროსი კრაუოესკი და სხვანი. ქ-მა ზისერმანმა მოახსენა გუბერნატორს მოკლე ანგარიში იმისი, რაც გააკეთა კომიტეტმა პირველ ხანს, რაც შეიტყვეს, თუ რა უბედურება ეწვია ბარალეთის საზოგადოების სოფლებს. გულ მზურვალე მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა საზოგადოებამ ეროვნებისა და ნოდების განურჩევლად. ყველას პირზედ მხოლოდ ერთი სიტყვა ეკერა, – ვუშველოთ სიკვდილს გადარჩენილთა რითაც-კი შეგვიძლიანო. მართლაც ასეც მომხდარა. გულუხვად სწირავდნენ ფულს, ტანისამოსს, პურს, ფეკილსა და სხვას. პირველ დღესვე შეეკრიბათ 600 მან. ეს ფული მცირე ნუ გეგონებათ, ახალქალაქი ერთის საცოდავი და დანიათ-გამოლეული ქალაქია, მცხოვრებთა რიცხვი ძლივს 5,000 სული იქნება. ფულსა და საზოგადოებას გარდა, სწირავდნენ ყოველ ნაირ ნახარსს ტანისამოსს. ვინ მოსთვლის, რა არ იყო მოზიდული მახრის სამმართველოში: ნალები, ქალაქმენები, ჩუსტები, თბილი საცვლები, ნაბდები, კაბები, იუბკები, კობთები, ქუდეები, საბნები, აფიცრის სერთუკ-მუნდირები, აფიცრისავე ქუდეები, ჩულქები, ხელთათმანები, შალეები და სხვ. ასე გასინჯეთ, შემონიშნულ ნივთებში ნიკოლოზის დროის გემოვნებაზედ შეკერილი ქურქიც კი ვერა. შეგროვილი ტანისამოსი გაუზავნეს ს. ბარალეთში მყოფს მახრის უფროსს ზისერმანს, რომელიც განაგებდა ადგილობრივ და შესაფერს განკარგულებას აძლევდა სოფლის მამასახლისის სოლომონ ზედგინძესა და მის თანამემნეთ გონება დაბნეულ ხალხს საშველად. რადგან ადგილობრივ პურის გამოცხობა ვერა ხერხდებოდა (ფურნები დაზარებული იყო) პურს ახალქალაქში აცხობდნენ და ისე ჰგზავნიდნენ.

რადგან გაგზავნილი ნივთები საკმარისი არ იყო, გუბერნატორმა ბძანა, ფულით ეყიდნათ კიდევ და იმავე ღამეს გაეგზავნათ ბარალეთს. ვაჭართა საქონელი მოგვიდეს იმ ფასად, როგორც თითონ დასჯდომოდათ. ისეთი ჟრიაშული და მოძრაობა იყო, როცა ბაზრიდან მოტანილს საქონელს ტომრებში ვალაგებდით, ბოღრებში ვკრავდით და მერე მარხილებზედ ვანყობდით, რომ კალმით შეუძლებელია მისი აღწერა. ყველაზედ მეტს გულმტკივნეულობასა და მოძრაობას იჩენდა ქ-ნი ზისერმანი. ისიც კი შევიტყუეთ, რომ განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით ალაგებდა ტომრებში ბავშვების ტანსაცმელს. ქალი ყოველთვის და ყოველგან ქალად დარჩება, რაც უნდა გარემოებაში ჩავარდეს. დედობრივი ალოღი და მგრძობიერი გული უნებლიედ იტაცებდა ალბად ქ-ნი ზისერმანის აზრსა და მზრუნველობას უმწიკო ბავშვებისაკენ, რომელნიც, რაღა თქმა უნდა, ყინვა-სიცხისაგან იფიჩხებოდნენ მშვიერ-ტიტყვნილი, ან დაბრანძულ ტანისამოსში გახვეულნი.

თითქმის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მუშაობა შესწყდა. მახრის სამმართველოს დაღვრემილი კედლები როგორღაც მხიარულად დაჰყურებდა ამ გულწრფელად და მოძმეთა სიყვარულით გამსჭვალულ მუშაკთ, სწორედ არაჩვეულებრივი სურათი იხილა მახრის სამმართველოში. სად ეს მუშაობა და სად კალმის წრიბინი საკანცელარიო მუშაობით გულგატეხილი მოხელისა. გუბერნატორმა უბრძანა დაექირავებინათ ენობანი ავადმყოფთა და სიკვდილს გადარჩენილთა მოსათავსებლად და გამოაცხადა, რომ ხვალ, 23 დეკემბერს, დილის ოთხს საათზედ, უნდა ნავიდეთ დანგრეულ და გავერანებულ სოფლებშიო.

ა.ჟ-ძ

ბილოცვა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ცნობილ მხატვარსა და მწერალს, რეზო ალამის ილია ჭავჭავაძის პრემიით დაჯილდოებას და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

შემონიშნულობა

ახალქალაქის მახრის მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოსწირვის: ბ-მა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა – 200 მანეთი. „შრომის“ სახელოსნოს მომუშავეთაგან: მის. ჩადრიშვილმა 1 მან., დავ. გიგაურმა 1 მან., ო. დვალისვილმა 1 მან., გ. ბერძენიშვილმა 1 მან., ი. გულურჯიძემ 1 მან., ს. ოქროვმა 50 კ., ლ. დათიკაშვილმა 20 კ., ი. ლიხიშვილმა 20 კ., ს. შავგულიძემ 20 კ., ბ. ფერიშვილმა 20 კ., გ. ლოლაძემ 20 კ., სულ 6 მან. 70 კ.

გაზეთი ივერია, N281, 1899 წ.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები:

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამოხატულებებს პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში მისამართი: ქ. თბილისი, თვედორე მღვდლის 57. ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3, ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24 lit.meskheti@gmail.com lit.meskheti@yahoo.com